

# საქართველო



წოდილ  
თამაში  
სისველითან

ბობლენ  
ბეჟასები  
პოლონეთის  
ქათვაცი  
ლიკომატი

პირველი  
ბეჟაცი ფიჩაცი

ქათვალების ბიბის ეპოდა

ადა ადონინების

დილი მოურავი

12 ივნის

ნიბი VI

ფასი 3 ლარი

მიგნი „ისტორიათან“ ერთად – 5 ლარი

ბლუ –  
მაფათა სახი

მაზუმის  
მძასრვალები  
სისახლემ ღალათ

სალინის  
კაციშვილის  
საილარო  
ერისი

აშ-ში  
ბაქსენა

ჰაზენას  
რეინი რითაც  
ძველებისას

მთიანი ყაჩაბალი;  
ხავასისა ჩიხი



6




8



10




12



30



22



16


## საჩინო

### საცი ახალი

მცხოვრის ჯერის ბარებით გვადი	6
განადგურებას გადაუწერა	
ნიკოლოზ II-ის უცხოებ ღვრილებას	
აუქციონზე გაიტანე	8
1000 ფლის მაღლის საიდუმლოს	
ამონენიან	8
ოლიგარის შუალედის მდარცველები	
სიხარულ დაღუპა	9
ათებალიაში „დასვენება“ რომაელებსაც	
შევარდათ!	10

### ნათოიბოს-კატიახვები

პატრიარქის ტერიტორი ღილაშვილი	12
ძეგლგეორგისას	
<b>აჭარის კულტური</b>	16
საცა უშმავო, ისევ სამოგლოვაო...	
იქანები, აბაბები...	
პირველი გურული ფირალები	22
ორალ ახალი	
ჩამირული ქალაქი ბულგარეთი	28
<b>კახოვლის ევროპი</b>	
ბოგდან გურჯივალი — პოლონეთის	
ქართველი დიალექტი	30

**36****44****52****58****79****60****66**

## საქართველოს ისტორია

შეისწავლის ისტორია	
ფანი კაპლანი: ტერორისტი იუ	
გათევზების ვაცი? .....	36
სიც-ექაუჩები	
გლეხა — საფრანგეთის მეფეთა სახლი .....	44
აონიერება	
მოიანი ყარაბაღი — კავკასიური ჩიხი .....	52
კაცი ები	
სტალინის ქალითვილის საიდუმლო	
ღისინა აჯგ-ზი გაიხსნა .....	58
საბჭოთა „ლებელები“	
რომილ ადგინიერეს „გემრიელი ამერიკა“...	
საბჭოთა საღისისისის .....	60
შავიმოები	
გორიძე — სიკვდილთან თამავა	
მსახურად .....	66
ცოვები	
მერაბ კორჩაგვილი: ღლემდე უასისე	
ჩამოვას გელაზე მაღალი ხელოვებაა .....	74
ეხეობი	
რატი ღურგლივალი: „ზარსულის ცოდნის გარეშე მომავლის ამენაპ	
მეუძღველია“ .....	79
„ისტორიანი“ ბავშვებისთვის	
500 ვაძტი ისტორიიდან .....	82
სკაცორდი .....	90

հՀԵՂԱՎԹՈՒՆ ԵՅՎՈ



როგორც წინა ნომერში ვაუწყებთდით,  
2012 წლის იანვრიდან, ანუ ორი წლისთვაზე, უკრნალი „ისტორიანი“ ახალი, გამრიდილი ფორმატით გამოიგა. იმავდროულად, გაიზრდება მისი თემატიკი მრავალფეროვნება. უკრნალის ელექტრონულ ფოსტაზე მკითხველები გვთხოვენ, მეტი ადგილი დაგვთმოთ საქართველოს რეგიონების ისტორიას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ყოველ ნომერში განვათვსოთ მასალები რეგიონულ მუზეუმებში დაცულ სიძეველებზე. ამასთანავე, ცალკე რუბრიკა დაეთმობა საქართველოს ქალაქების ისტორიას, ადგგება რუბრიკა „ისტორიული ტურიზმი“, მცირე ცვლილებებით ამიერიდან თითოეულ ქებლს ცალკე მიმოხილვა დაეთმობა.

1921 წლის შექმდებ საქართველო დატოვა  
ათასობით ადამიანა, რომელთაც თავიანთი  
საქმიანობა ვერიპის სხვადასხვა ქვეყანაში  
განაგრძეს. ემიგრაციაში შეიქმნა მდიდარი  
პოლიტიკური ოჯ მხატვრული ლიტერატურა.  
ნაწილი ამ გამოცემებისა (გურამ შარაძის  
თაოსნობით) საზოგადოებისთვის ცნობილია,  
ოუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი ემიგრანტის  
შემოქმედება კვლავაც უცნობი რჩება. ამიტომ  
გადაწყვეტილეთ, ჟურნალში ცალკე რებრივით  
— „ემიგრაციული ლიტერატურა“, დავიწყოთ  
მასალების გამოქვეყნება უცხოეთში გამოცე-  
მული ქართული ჟურნალ-გაზიერებიდან.

განახლებულ „ისტორიანში“ თქვენ ასევე  
იხილავთ რუბრიკას „ახალი მასალები“.  
მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უურნალი  
ისტორიულ-შემცენებითია, ვფიქრობთ, საზო-  
გადოებისთვის საინტერესო იქნება გახმაურე-  
ბული სასამართლო პროცესების, ცნობილი  
ადამიანების მოგონებების, პირადი წერილე-  
ბის, ფოტოების პეტლი კავიაც.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა დიდი  
მაღლობა მოვახსენო ჩვენი უურნალის მკით-  
ხველს, ორი წლის განმავლობაში გამოვლენი-  
ლი დაინტერესის და ერთგულებისთვის.

2012 წლის იანვრიდან, ანუ ორი  
წლისთვის 32%, უკრნალი  
„ისტორიანი“ ახალი, გაზრდილი  
ფორმატით ჩამოახადა...

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი  
„ისტორიანი“

## მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

## რედაქტორი გელა გურგენიძე

## სტილისტი-რედაქტორი ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:  
ალექსანდრე ბოშიშვილი  
ოქროპირ ჯიქური  
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:  
ნანა მაჭუვარიანი  
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №49  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

## სარეკლამო განყოფილება

ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

## ქურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადახეჭდვა აკრძალულია

T-85  
Aug 25



# მცხეთის ჯვრის ბარეტისაფან განადგურებას გადაურჩა

მცხეთის ჯვრის რელიეფის კონსერვაცია  
და სახრულს უახლოედება. კონსერვაციას,  
ქართველ სპეციალისტებთან ერთად,  
საერთაშორისო ორგანიზაცია „იკრომის“  
ქვის კონსერვაციის ცნობილი ექსპერტი,  
სამონ გარაკი ახორციელებს.

დასახრულს უახლოედება ჯვრის  
ამძღვების კომპოზიციაზე ძემობა,  
ასევე აღმოსავლეთის ფასადის  
რელიეფების გამაგრების შემდგომი  
მონიტორინგი, რომელიც შარშან  
დაიწყო. მონიტორინგის დასრულების  
შემდეგ მცხეთის ჯვრის მთავარ ფასადზე  
აღმართული ხის ხარახი დაიშლება.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ,  
მცხეთის ჯვრის ქვის დაზიანება დიდი ხანია  
მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. კონსერ-  
ვაციის დაწყებამდე სამონ გარაკა, რომელიც  
ტაძრის რელიეფების გადარჩენის მეთოდოლო-  
გიაზე ექვსი წელიწადია მუშაობს, ქართველ  
სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა ქვის  
ეროზის საწინააღმდეგო კვლევებისა და გა-  
მაგრების პროექტი. ამ სამუშაოებით ქვის  
ძეგურნალობა-კონსერვაციის ათწლეულების  
განმავლობაში გადაულახავი პრობლემა გა-  
დაჭრა.

შედეგად, განადგურებას გადაურჩა აღმო-  
სავლეთ ფასადის ცენტრალურ და გვერდით  
წახნაგბზე განთავსებული ბარულიეფები.

ფილეტზე გამოსახულნი არიან ტაძრის  
ქტიოტორები: ქრისტეს წინაშე მუხლმოდრე-  
კილი სტეფანი I (წარწერა: „ჯუარო მაც-  
ხოვრისაო სტეფანის ქართლისა პატრიკი-  
ოსი შეიწყალე“, მისი მემკვიდრე ადარნესე  
თავის ძესთან ერთად (წარწერა: „წმიდაო გაბ-

ჯვრის მონასტრის კარიბჭე



### ჯვრის ამაღლების სცენა სამხრეთ ფასადზე

რიელ მთავარანგელოზო ადრნესეს უპატოს-სა მეოხ ხეყავ“), სტეფანოზის ძმა დემეტრე (წარწერა: „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს უპატოსსა მეოხ ხეყავ“). ადარნესესა და დემეტრეს ფიგურებს ზემოთ მთავარანგელოზები — მიქაელი და გაბრიელია გამოსახული. სამხრეთის ფასადზე კი გა-

მოსახულია ჯვრის ამაღლების სცენა.

მცხეთის ჯვარი პირველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომლის ფასადთა გაფორმებაშიც რელიეფურ ქანდაკებებს არსებითი ადგილი უჭირავს. ისინი 586-604 წლებით თარიღდება.

### თემო ავაზარიძე

სარუსტავრაციო სამუშაოებს ჯვრის მონასტერზე საიმონ გარაკი ხელმძღვანელობდა



## 1000 ნეის ძალის საილექცოს ამოსსნიან

მექსიკულმა მეცნიერებმა ძაღლის უძველესი მუმიის შესწევლა დაიწყეს, რომელსაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში მიაკვლიერს. სკეციალისტები იმედოვნებენ, რომ კვლევა საშუალებას მისცემთ, მეტი შეიტყონ



ცხველი  
მუმიად  
ადამიანის  
ჩაზეოს  
გარეშე  
გადაქცა

უძველესი ტომების სამონადირულ ტრადიციების შესახებ.

ძაღლის მუმიის ასაკი დაახლოებით 1000 წელია. მას 1953 წელს, მექსიკის ნახევრად გადაშენდა რეგიონში მიაგნეს.

ტომეონის მუზეუმის არქეოლოგის, ისააკ აკუნინოს აზრით, ძაღლის მუმიფიკაციაში ადამიანის ხელი არ ურკვია. „მუმიფიცირება მოხდა უდაბნოს შერალ პირობებში. ტყავი ძვლებამდე გახმა და მუმიფიცირება ბუნებრივად მოხდა“, — ამბობს აკუნინო. მეცნიერები ვარაუდობს, რომ ეს ძაღლი ადგილობრივისა ტომებმა მოაშინაურეს და მათ ნადირობაში ქმარებოდა.

ძაღლის მუმიასთან ერთად აღმოჩნდა ადამიანის ნაშთები და არტეფაქტებიც. მათ შორის ქსოვილი, კალათი და ისარი. ძაღლის გამოკვლევა რენტგენისა და რადიოგარბონული დათარიღების მეთოდის გამოყენებით იგეგმება. ამის შემდეგ დადგინდება მისი ზუსტი ასაკიც.

*მოშადებულია Daily Mail-ის მასალების მიხედვით*

## ნიკოლოზ II-ის უცნობი წერილები აუქციონზე ბავა

რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის და მასი ოჯახის წევრების წერილებსა და შევიათ ფოტოებს უკრევაში Hotel des Ventes-ის აუქციონზე გაიტანენ. სამეფო და საიმპერატორო ნივთების აუქციონზე გასაყიდად 3 ათასი ლოტი გვა, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 3 მილიონი შეკიცარიული ფრანკია.

დოკუმენტებს შორისაა ნიკოლოზ II-ის ხელით პირველი მსოფლიო ომის დროს დიდ მთავარ ნიკალა ნიკალავიჩისადმი გაგზავნი-

ლი წერილები. ეს უკანასკნელი 1915 წლამდე იმპერატორის არმიის მთავარსარდალი იყო.

ეს მიმოწერა, რომელიც სამხედრო-პილიტიკური ხასიათისაა, არა მხოლოდ პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მონარქილეობას ასახავს, არამედ იმპერატორის დამოკიდებულებას ამ ომისადმი. ის შეშფოთებულია ომში თავისი არმიის მონარქილეობით.

აუქციონზე გვა ასევე ალექსანდრე II-ის მიერ საყვარელთან, ეკატერინა დოლგორუკაიასთან გაგზავნილი ბარათი. 46-გვერდიანი საიდვარულო მმოწერის საწყისი ფასი 8 ათასი შვეიცარიული ფრანკია.

ლოტებს შორის არის აგრეთვე 100 ფოტო, რომელიც ასახავს რომანოვებს ვიწრო ოჯახს ურ წრეში, აგრეთვე იმპერატორის ასულის, ოლგას მიერ აკვარელში შესრულებულ ნამუშევრები.

*მოშადებულია „რია ნოვოსტის“ მასალების მიხედვით*



# ოციმავის მუზეუმის მძღვანელი სიხაბუმ ლალაკა

საბერძნეთის პოლიციაშ ოლიმპიის არქეოლოგიური მუზეუმის ძარცვის ფაქტი გახსნა. დაკავებულია სამი ადგილობრივი მოსახლე. მათ 2012 წლის 17 თებერვალს ძველი ოლიმპიის არქეოლოგიური მუზეუმიდან 77 ექსპონატის ქურდობა ედებათ ბრალად. ყველა ეს ექსპონატი ოლიმპიური თამაშების ისტორიასთან არის დაკავშირებული.

სამართლდამცავები დამნაშავეთა კვალზე მას შემდეგ გაიძინენ, რაც მძარცველებს მოთმინება გამოელიათ და ერთ-ერთი ნაძარცვი ნივთის გაყიდვა გადაწყვიტეს. შავ ბაზარზე ისინი ამ ნივთებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ბეჭდის გაყიდვას მიღიონ-ნახევარ ეცროდ შეეცანენ.

შეიძლება, ვისთანაც მძარცველები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, პოლიციელები აღმოჩნდნენ. „გარიგების მცდელობა“ ეჭვმიტანილთა დაკავებით დასრულდა.

სამართლდამცავებმა მძარცველთა მიერ მოწყობილ სამაღლავში ყველა სხვა ექსპონატ-საც მიაგნეს. ჯგუფის მეთაური ათენის მკიდრი, 50 წლის კონსტრუქტორია, რომელიც თავს წვრილმანი ვაჭრობით ირჩენდა. ჯგუფის წევრები არიან 41 წლის პელოპონესელი და 36 წლის ათენელი უმუშევარი მამაკაცები.

მოპარულ 77 ექსპონატს შორის იყო 3300 წლის ოქროს ბეჭდი, გამარჯვებული სპორტს-მენის ბრინჯაოს სტატუა და 2400 წლის ქილანავთის სანაურისთვის.

ოლიმპიის მუზეუმის ძარცვაშ ბერძნები შოგში ჩააგდო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მძარცველები მუზეუმში შევიდნენ. თანაც, ერთი თვევც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მძარცველებმა ათენის ეროვნული სამხატვრო გალერეიდან პიასოს ნახატი და კიდევ ორი ძეირად ღირებული ტილო მოიპარეს.

**მოშადებულია N7week-ის მიწვით**



ბერძნებმა  
შოღიციამ  
77-ე  
მოპარულ  
ნივთის  
ძარცვია



**talizi**  
თმის გადანერგვის ცენტრი

ტარკანის 27. ტელ: 2141515

**WWW.TALIZI.GE**

# ანტალიაში „თასვენება“ რომაულებსაც უყვარდათ!

სამხრეთ ოურუეთში, ანტალიის პროვინციაში რომაულების ძირი I საუკუნეში დაარსებულ უძველეს ქალაქ ანტიოქია-ად-ქარაგუმის მახლობლად დიდი ზომის – 149 კვადრატობის მოზაიკა აღმოაჩინეს, რომელიც რომაული აბანოს ანუ თერმის იატაკს ფარავდა 7-მეტრიანი აუზის გვერდით მეცნიერთა აზრით, ეს თერმები ა. წ. III-IV საუკუნეებით თარიღდება.



რომაულების კომფორტულად დასკვნება უფარდათ

მოზაიკა თითქმის ხელუხლებლადაა შენახული. მისმა ხარისხმა და ზომამ ექსპედიციის ხელმძღვანელი, ნებრასკის უნივერსიტეტის (აშშ, ქ. ლინკოლნი) ისტორიკოსი მაიკლ ჰოფი გნაციფირა. მისი თქმით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ცნობილ მოსაზრებას, რომ რომაულებს უყვარდათ და იცოდნენ კიდეც კომფორტულად დასკვნება.

ექსპედიციამ გათხრების ნებართვა შარშან მიიღო და ჯერ მხოლოდ შესანიშნავად შენახული იატაკის 40%-ის მიწისგან გათარომაული თერმების ნაშთი. დატაღვები



ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჯერ კი-



თურქეთში მოხაიკაზე სამუშაოდ მეცნიერები აშშ-დან მიიწვია

დეკ 2002 წელს ანტალიაში, პატარა ქალაქების – გაზიფაშასა და კალედირანს შორის განლაგებულ ანტიოქია-ად-კრაგუმის მახლობლად მინდოოში ამერიკელი სპეციალისტის, პერდიუს უნივერსიტეტის პროფესორ ნიკ რაუს ოპელწინ გუთანმა ხვინისა მოხაიკის ძალიან საინტერესო ფრაგმენტები ამოყარა. მეცნიერი აღმოჩენით მაშინვე დაინტერესდა, მაგრამ ადგილობრივმა მუზეუმმა ფინანსების არქონის გამო აღმოჩენის ადგილი მხოლოდ დააკონსერვა. შარშან თურქეთის რესპუბლიკის

ხელისუფლებამ კი მაიკლ ჰოფის ხელმძღვანელობით გაერთიანებული ექსპედიცია მიიწვია გათხრების მოსაწყობად...

მოზაიკა დიდი კადრატებისგან შედგება, რომელთაგან თითოეულს უნიკალური ჩუქურთმა ამშვენებს. მკელევართა აზრით, აუზი, საკარაულოდ, ღია უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაზე დიდი რომაული მოზაიკა, რაც თურქეთის სამხრეთში აღმოჩენიათ.

**მომზადებულია BBC-ის  
მასალების მიხდვით**

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**პალიტრა მედია გისმენი!**



დარეკეთ: 219 60 13



მოგვიცერით: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საკმის“)

საფოსტო ფუთხების საშუალებით

# პატრიარქის წერილი წითელი ნელგვადობისას

როგორ ზრუნავდა  
პათოლიკოს-პატრიარქი  
პალისტრატე (ცინცაძე)  
ქართველი მნის სტატუსზე

თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს  
შენგან სამსახურს, თანახმად  
მაცხოვრის მცნებისა, უნდა დაუტევო  
ცოლიცა და შვილიც, ალიტო ჯვარი  
თვისი და შეუდგა უფალსა".

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე  
(ცინცაძე)



საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საჭითმშერობელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ კათოლიკოს-პატრიარქი, უწინიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1866-1952), რომელსაც ერის სულიერი წინამდღვრის ფუნქციის შესრულება ეკლესიის-თვის ურთულეს, გადამწყვეტ და ტრაგიკულ პერიოდში მოუხდა. მაშინ, როცა ბოლშვიკების ათეისტური ხელისუფლების მიერ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეპრესიების წნევში მოექცა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) არა მარტო ღირსეული და ბრძენი უმაღლესი სასულიერო პირი, არამედ მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი და დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული პატრიარქი გახლდათ მის სახლს უკავშირდება ქართული ეკლესიის არაერთი მნიშვნელოვანი მიღწევა.

1932 წლის 21 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-6 კრებაზე სრუ-

ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ კალისტრატეს მძიმე მემკეთდებოდა ხელად: საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანგრეული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებად გადა კოობული ეპლესია-მონასტრები, დახვრუტილი და დაპატიმრებული საეკლესიო პირები. ეპარქიები ფორმალურად არსებობდა, რაღაც ქვეყნაში რეპრესიებს გადარჩენილი ხუთიოდე მღვდელთმთაგარიდა შემორჩენილიყო, ხოლო წირვა-ლოცვა თბილისის მხოლოდ რამდენიმე ტაძარში აღესრულებოდა. კველაზე საყალალო კი ის იყო, რომ ბოლშვიკური რეპრესიები კვლავ გრძელდებოდა, რის შედეგადაც სამღვდელოება სრული განადგურების პირას იდგა.

მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, ქართული ეკლესიის ფიზიკური მოსპობის თვეიდან ასაცილებლად, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ბოლშვიკურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გონივრული კომპრომისების დიპლომატიური გზა აირჩია. ისტორიაში დასაბუთა, რომ ეს იყო არსებუ-

ლი მძიმე სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი.

ამ პოლიტიკის შედეგად ქართულმა ეკლესიამ ეტაპობრივად მოახერხა ბეჭრი საჭირო როტო პრობლემის ეროვნული ინტერესების სასარგებლობ მოგვრუბა: ეკლესიამ დაბრუნა ხელისუფლებისგან წართმეული იურიდიული სტატუსი, აღდგა ეკლესია-მონასტრები და ეპარქიები, თითქმის ყველგან განახლდა წირვა-ლოცვა, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მოქეცა არაქართული სამრევლოები, ეკლესიამ შეინარჩუნა მრევლი, გადაარჩინა და დაიბრუნა სიწმინდები, რეპრესიებისგან იხსნა არაერთი სასულიერო პირი, სამღვდელოების შემადგენლობა შეთვისო ღირსეული და კვალიფიციური კადრებით რუსეთის ეკლესიამ საბოლოოდ აღიარა საქართველოს ეკლესიის აზტოკფულია და ორ მეზობელ მართლმადიდებელ აზტოკფულურ ეკლესიებს შორის დამყარდა ნორმალური ურთიერთობა.

ამ მიღწევათ მოსაპოვებლად პატრიარქი ყველა სამუალებას იყენებდა. სტალინთან ძველი ნაცნობობითაც კი სარგებლობდა, პირადი მიმოწერა პქნიდა მასთან. სტალინიც, როგორც ჩანს, პატივს სცემდა და შეძლებისდაგვარად



კალისტრატე  
ციხაძე  
ახალგაზრდობაში



ზარის ჩამოვდება  
სიონის  
კათედრალიდან



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე და რუსეთის პატრიარქი ალექსი I სტალინის დედას საფლავთან, 1946 წელი

ითვალისწინებდა კათოლიკოს-პატრიარქის აზრს საქართველოსთვის მნიშვნელოვან ამა თუ იმ საკითხზე. ისტორიისთვის ცნობილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოებული იდე-

ოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ მიტაცებული ტაო-კლარჯეთის ქართული მიწების დაბრუნების თაობაზე, რომელსაც ვრცელი წერილით გამოქმაურა კათოლიკოს-პატრიარქი კა-

1946 წელი, მცხოვა, სკეტიცხოველი. რუსეთის პატრიარქის სტუმრობა საქართველოში



ლისტრატე. წერილში მეცნიერულადაა დასაბუთებული საქართველოს სამართლიანი პრეტეზიები და ტაო-კლარჯეთის დედასაშობლოსთვის დაბრუნების აუცილებლობა. საბოლოოდ ეს ჩანაფიქრი მრავალი მიზეზის გამოვრ განხორციელდა.

სანიტერუსო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კალისტრატე ცინცაძის პირადი წერილი სტალინისადმი (წერილი იბეჭდება უცვლელად):

„კაცთა შორის რჩეულო და საქართველოს დიდებულო შეიღო, ღრმად პატივცემულო იოსებ ბესარიონის ძეე!

დღეს თქვენი დაბადების დღეა: ცხოვრების მომნიჭებელს შევთხოვ, განავრმოს თქვენი სიცოცხლე ჯანმრთელობით მრავალუამიერ!


ამასთან ერთად უკვე თქვენ გთხოვთ გადაავლოთ თვალი ამ ბარათს და თუ მისი შინაარსი ოცნებათ შერაცხოთ, შემინდოთ კადნიერება.

ჩვენს დროს თითქმის ყოველ ადამიანს უხდება უცხო ტომის კაცთან შეხვედრა და ენის უცოდინარობის გამო, ან გვერდის ახვევა, ან მუნჯურად გამოხმაურება: ხორციელად და სულიერად ძმები ციფრ შორდებიან ერთმანეთს.

რადიოს, აეროპლანის და სტალინის კონსტიტუციის ხანაში ეს დაუშეგებელია: საჭიროა მსოფლიოს ყველა მოქალაქემ შშობელი ენის გარდა, საფუძვლიანად იცოდეს ერთ-ერთი ცოცხალი ერის (სასურველია მცირესა, დიდებმა რომ ცილობა არ შექმნას) მდიდარი და მოქნილ-დამუშავებული ენა. ჩემი ღრმა რწმენით საქმარისა თქვენ მიერ ამ საკითხის დასმა, რომ მან ჰპოვოს გამოხმაურება და შეისხას სისხლ-ხორცი.

საერთო ენის საშვალებით მსოფლიოს ხალხების დაახლოების, მეცნიერობისა და სიყვარულის დამყარების და თქვენი დიდებული სახლის უბრწყინვალესი შარავანდედით შემოსვის გულით და სულით დანატრუტული კ.მ.ც. (საქ. კ.პ.) 1946 21 XII თბილისი“

წერილში საფუძვლიანადაა ახსნილი ხალხთაშორისი „მსოფლიო ენის“, „როგორც სახლ-ხების დაახლოების, მეცნიერობისა და სიყვარულის დამყარების“ აუცილებლობა. ეჭვგარუშეა, ავტორი „რომელიმე მცირე, ცოცხალი ერის მდიდარ და მოქნილ-დამუშავებულ ენაში“ ბე-



#### თასებ სტალინი

ლადის შშობლიურ ენას გულისხმობდა. მან კარგად იცოდა, რომ ქართული ენის ბევრ ენასთან გრამატიკული უპირატესობა („სიმდიდრუ“, „მოქნილობა“, „სრულყოფილება“) სტალინს კარგად ესმოდა, მეორე შხროვ, მართლაც საკმარისი იყო „ბელადის მიერ საკითხის დასმა“, ანუ მონღომება, რომ ქართული ენა საერთაშორისო ენად (ყოველ შემთხვევაში, საბჭოურ სივრცეში) ქცეულიყო.

რუსულ ენასთან უხერხულობა რომ არ შექმნილიყო, წერილში ერთგვარი გამოსაყალიცა მოძებნილი („დიდმა ერებმა რომ ცილიბა არ შექმნას“). ბოლოს კი ხაზგასმითაა მინიშნებული, რომ ეს იქნებოდა სტალინის სახელის „უბრწყინვალესი შარავანდედით შემოსვა“ საქართველოს ისტორიაში.

მნელი საყარაუდოა, რა რეაქცია ჰქონდა წერილის წაკითხვის შემდეგ აღრუსატს და რას ფიქრობდა სტალინი ქართული ენის საკითხებები, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ეკლესიის საჭეომპერობელი კალისტრატე სტალინთან პირად ნაცნობობას იმისთვის იყენებდა, რომ ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ რაც შეიძლება მეტი სიკეთე გამოექალა ბოლშევიკური რეჟიმისგან.

**ანდრო ჩაჩაძე**

# სევა ფუძეო, ისევ სამოგბლოში...

„ჩვენი ყველაზე  
ახლო ნათესავები  
ქართველები არიან“

აფხაზური მოსახლეობა 1867 წელს  
რუსეთის იმპერიას აუჯანდა  
არაადამიანური მომჭრობის გამო.  
რუსეთის ხელისუფლებას არც  
აჯანყებულთა დამარცხება გასჭირებია  
და არც მათი დიდი ნაწილის თურქეთში  
მასხაბრივად განდევნა. 1877-78 წლების  
რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კი  
აფხაზთა ნაწილის მიერ თხმაღეთისადმი  
მხარდაჭერამ საბაბა მისცა იმპერიას,  
უფრო მეტი აფხაზი გადაესახლებინა  
თურქეთში. ორივე ეს ფაქტი ისტორიაში  
აფხაზთა მუპაჯირობის სახელით არის  
ცნობილი („მუპაჯირეთ“ არაბული  
სიტყვაა და გადასახლებას,  
საცხოვრისიდან აერას ნიშავს).



## შობლიურ კუთხედ ქცეველი აჭარა...

აჭარის ტერიტორიაზე ერთული აფხაზუ-  
რი ოჯახები მუპაჯირობამდე დასახლებულა.  
აჭარაში ამჟამად მოსახლე აფხაზთა უმრავ-  
ლესობის წინაპრები აქ 1867 წელს, პირველი  
მუპაჯირობის დროს ჩამოვიდნენ (იმ დროს აჭა-  
რა ჯერ კიდევ შედიოდა თურქეთის შემადგენ-  
ლობაში). აფხაზები აჭარაში, ბათუმსა და მის  
მიმდებარე სოფლებში ზოგან კომპაქტურად,  
ზოგან — გაფანტულად დასახლდნენ (2002  
წლის სტატისტიკური მონაცემებით, აჭარაში  
დაახლოებით 1600 აფხაზი ცხოვრობდა). მას  
შემდეგ აფხაზები ქართველთა გვერდით არი-  
ან. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთელმა აფხა-  
ზებმა მუპაჯირთა შთამომავლებს წინაპართა  
მიწებზე დაბრუნება შესთავაზეს, მაგრამ აჭა-

რის აფხაზებმა ამაზე კატეგორიული უარი გა-  
ნაცხადეს: — 150 წელია ერთ ადგილას გართ  
დაბინავებული, უკვე მეექვსე თაობა ცხოვრობს  
ამ სახლში და არც გაქცს სურვილი საღმე გა-  
დავიდეთ (ზური ატრუქბა); — ჩვენ აქ დავი-  
ბადეთ, აქ გაეიზარდეთ, ამ მხარეს ვემსახურეთ,  
აქ გვევას ნათესავები, აქ გვაქცს საფლავები და  
არსად წასვლას არ ვაპირებთ. მუპაჯირობაში



მთელები შპობლიურ სოფელს ტოვებენ. პეტრე გრუზინეკი, 1872

დამნაშავე რესი ხალხია. მე და ჩემი შვილები აფხაზეთში არ გადავალო საცხოვრებლად. ჩემი მეუღლისა და შვილის საფლავები აქ არის (ფენია ელიზბარია-სელიმბა).

თუ დიდი ხნის წინ აფხაზები ოროთახიან ხის სახლებში ცხოვრობდნენ და ცალკე ჰქონდათ ფაცხა, ახლა მათი სამოსახლო არ განსხვავდება აჭარელთა ეზო-კარისგან, მათაც

ერთი ან ორსართულიანი თანამედროვე ქვის ან ხის სახლები აქვთ.

### „ღმერთის ოთხ ენაზე მივართავთ...“

აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა აღნიშნეს, რომ ოთხ ენაზე ლაპარაკობენ. „როცა გაგვი-ჭირდება, ღმერთის ოთხ ენაზე მიღმართავთ, ოთხ



**აფხაზი მუკაჯირები**

ენაზე ვლოცელობთ: აფხაზურად, ქართულად, რუსულად და თათრულად (თურქულ ენას თათრულს ან ოსმალურს უწოდებენ)“, — გვითხრა ბათუმელმა აფხაზმა სური მუსხაჯაშ. ენების ცოდნის ღონე განსხვავებულია. აფხაზურს შმობლიურ ენად მიიჩნევენ, თუმცა უმრავლესობაშ სრულფასონად არ იცის, ან ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკებს. ძირითადად უფროსი თაობის ხალხს შეუძლია აფხაზურ ენაზე გამართულად საუბარი. „ბაჟშობაში უკეთესად ვიცოდით, როცა ბებიებს, ბაბუებს ან შმობლებს ვესაუბრებოდით, ახლა თანდათან გვვიწყდება ჩვენი ენა“ (თუმურ აშმეიბა); „ენა სხვადასხვა გაქვს ჩვენ და ქართველებს, მაგრამ სისხლით ერთი გართ“ (ფენია ელიტბარია-სელიმბა). უმეტეს შემთხვევაში აფხაზებს ქართველი მეუღლები ჰყავთ, რომლებიც პატის სცემენ აფხაზურ ტრადიციებს, სწავლობენ აფხაზურ ენას და მეტ-ნაკლებად იცავენ მეუღლესა და მის ნაუსაუებთან ურთიერთობის ეტიკეტს. სტატისტიკის თანახმად, აჭარაში მცხოვრები აფხაზებიდან 63%-ს მეუღლე ქართველი ჰყავს, 31%-ს — აფხაზი, ხოლო 6%-ს — რუსი. ქართულენოვანმა გარემო და შერეულმა ოჯახებმა ხელი შეუწყო იმას, რომ აჭარის აფხაზები ქართულ ენას კარგად ფლობენ. მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია. ამიტომაც მათი უმრავლესობა შმობლიურადაც კი

მიიჩნევს ქართულ ენას (ქართულად ლაპარაკისას ისინი ძირითადად აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ).

აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა ასევე კარგად იციან რუსული ენა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა. ცხადია, ამას საბჭოთა დროს რუსული ენის პრესტიულობა განსაზღვრავდა. საშუალო და უფროსი თაობის აფხაზები ხშირად ერთმანეთთან რუსულად საუბრობენ, უმრავლესობამ წერა-კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე იცის, ხოლო ახალგაზრდები მეტწილად კარგად ფლობენ ქართულ და ვეროპულ ენებს.

### **ბებია ქრისტიანი, ბაბუა — შუალიმანი**

ზოგიერთ აფხაზურ ოჯახში სხვადასხვა კონფესიის ადამიანები ცხოვრობენ და ერთმანეთის რელიგიას პატივს სცემენ. მუკაჯირობამდე აფხაზთა უმრავლესობა მუსლიმანად მიიჩნევდა თავს, მაგრამ მათ შორის იყვნენ ქრისტიანები და წარმართებიც. ბათუმელ აფხაზთა ნაწილი ამბობს, რომ აფხაზები წარსულში ქრისტიანები იყვნენ. ადრე აჭარის აფხაზები ძირითადად მუსლიმანებზე ქორწინდებოდნენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, ქრისტიან ქალს მეუღლის პატივსაცემად ისლამი მი-

უდია. „ჩემი დედამთილი ქრისტიანი იყო, მაგრამ კერცხებსაც ღვავდა და ჰალვასაც აკეთებდა, ორივე სარწმუნოების წესებს იცავდა“ (ფენია ელიზბარია-სელიმბა); „მორწმუნე ადამიანი ბნელ ოთახშიც მორწმუნეა და არა სხვის დასანახავდ. ზოგიერთიც მუსლიმანები იყვნენ და გაქრისტიანდნენ. ოცჯერ გაქრისტიანდნენ სხვების დასანახად — ეს არ შეიძლება. ბებია ქრისტიანი იყო, ბაბუა — მუსლიმანი. ოჯახის ტრადიციები მუსლიმანობაზეა მიბმული. მე არც ქრისტიანი ვარ და არც მუსლიმანი, უფრო წარმართი ვარ, მაგრამ მუსლიმანი ჩაწერე, რადგან მუსლიმანურ ოჯახში დავიბადე (როგორც წესი, აფხაზებში მამაკაცის რელიგიური კუთვნილება განსაზღვრავს ოჯახის ძირითად ტრადიციებს. — ს. ჭ.). აქ ტრადიციებია, თუ ამაზე უარი ვთქვი, დაიშლება ყველაფერი. ღმერთი ერთია, რომელი მწამს, მე უფრო ვიცი. ჩემი დაძმა ქრისტიანები არიან და არანაირი პრობლემა არ გვაქს. ჩემი ვაჟები არც ქრისტიანად და არც მუსლიმანად არ მომინათლავს. მათ თვითონ აირჩიონ. მამაკაცი თვითონ ირჩევს ქალს, რელიგიას და გზას“ (ნური კუდა).

### დედის მის სიტყვა

ბათუმელმა აფხაზებმა იციან ამა თუ იმ აფხაზური ტრადიციის შესახებ, თუმცა მათ უმრავლესობას ახლა აღარ იცავნ, მაგალითად, ადრე რძლები მეუღლესა და მის ნათესავებს სახლით არ მიძართავდნენ. „დედაჩემი მამაჩემს სახლით არ მიძართავდა, არ შეიძლებოდა. თუ მეუღლის სახლი სხვასაც ერქვა, მასაც კი არ დაუძახებდა, სხვა სახლს შეარქმევდა“ (ოთარ ჭამბა). ტრადიციის მიხედვით, აფხაზები რძლებს სახლს უცვლიდნენ; ქალები სუფრასთან მამაკაცების თანდასწრებით არ სხდებოდნენ; კაცი რომ შემოვიდოდა, რძლები სუფრიდან შეუმნეველად უნდა გასულიყვნენ; მამამთილი რძალს არ ელაპარაკებოდა განსაზღვრული დროის განმავლობაში, სანამ რძალი ამას არ „დაიმსახურებდა“. ჰქონდათ ასეთი წესი — მამამთილი დაკლავდა ხარს, მოიწვევდა ნათესავებს და რძალს დალაპარაკების ნებას რთავდა. ამ ტრადიციაზე საუბარს ანეკდოტიც მოაყოლეს: თურმე მამამთილმა რძლისთვის საუბრის ნების დართვის შემდეგ, ისევ დაკლა ხარი, ისევ მოიწვია სტუმრები და განაცხადა — ჯობს, ისევ ძეელებურად დარჩეს და რძალი არ მელა-



მარგაშიძეების სასახლე ლიონში (ცადაწევა დ. სიათმოლევ-მარსეიმ 1866 წლის ავგისტოში)



მარშანიების სასახლე ლათაში (დალი)



მუჭაკირები ბათუმის ნუსაღვურში



აფხაზური ოჯახები, XX საუკუნის დასაწყისში



პარაკებოდესო... „მაზლი უფროსი მყავდა, ის კაცი ისე მოკვდა, ჩემი ხმაც კი არ გაუგაია. ოთხი შვილის დედა ვიყავი, მაგრამ არ ვლაპარაკობდი. მამა შვილს ვერ მოუფერებოდა. ერთხელ ქუჩაში გასული პატარა გუბეშმა ჩაუარდა, მაგრამ მამამისმა ხელი არ მოჰკიდა, რადგან შორისახლო თავისი უფროსი ძმა გეულებოდა და მისი მოერიდა“ (ფენია ელიზბარიასელიმბა).

დაქორწინებისას გადამწყვეტი სიტყვა დედის ძმას ეთქმოდა. ქორწილის დღეს მაყრები პატარამალს წამოიყვანდნენ, მაგრამ ნეფეპატარამალი ერთად არ უნდა დამდგარიყო. პატარამალი მარტო იდგა, ქმარი კი თავის აძსანაგებთან ქეიფობდა. „ქორწილი ეზოებში იმართუბოდა და რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ხალხს უნდა ენახა, როგორი საკლავი დაიკვლებოდა. ამის შემდეგ მოხარშული გულ-ღვიძლის მცირე ნაწილებს კველას ურიგებდნენ. სუფრაზე ჯერ არყით იწყებდნენ სადღეგრძელოებს, შერე ღვინით აგრძელებდნენ, 6-8-12 ჭიქას ერთად სვამდნენ ხოლმე... დღეს ქორწილი, ჩვეულებრივ, ქართული წესჩვეულებების შესაბამისად იმართუბა, მღერიან ქართულადაც და აფხაზურადაც“ (აკაკი ციცაბა).

აჭარის აფხაზები გამორჩეული სტუმართმუყარეობით იწონებენ თავს. „წინათ სტუმარი რომ მოვიდოდა, მისთვის ხელები უნდა დაგვებანა, დამით მისი აზიაციები გაგვეწმინდა. სტუმარი წყალს თუ მოითხოვდა, სანამ არ დალევდა, ფეხზე უნდა გმდგარიყავით“ (ფენია ელიზბარია-სელიმბა); „მეუღლის უფროსი ბიძა გვეწვია შინ, მან რამდენჯერმე მთხოვა ჭიქით წყლის მიტანა. სამოთხჯერ მირთმევის შერე გრაფინი და ჭიქა დავუდგი ახლოს. ბიძას არ მოწერია და ჩემს მამამთილს საყვედური უთხრა, ზარმაცი რძალი გყოლიაო“ (მანანა სტამბოლიშვილი). სტუმრის პატივსაცემად მასპინძელს შეუძლებელი უნდა გაეკეთებინა. თუ სტუმარი უკამაყოფილო წავიდოდა, ოჯახისთვის ეს დიდი სიიცხვილი იყო. აჭარაში მცხოვრები აფხაზები დღესაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპორიბან სტუმრებს. „დედაჩემი 85 წლის ქალი იყო, ბავშვი რომ შემოვიდოდა ოთახში, ფეხზე დგებოდა. ასევე აუცილებელია უფროსის პატივისცემა. უფროსი რომ ლაპარაკობდა, ჩვენ ხმას არ ვიღებდით, არ შეიძლე-

ბოდა. ქუჩაში თუ უფროსები გაივლიდნენ, შორიახლო მყოფი ახალგაზრდები ფეხზე უნდა წამომდგარივენენ“ (სური მუსხაჯბა).

## სარა საფსურუა — მე აჟხაზი გარ!

ორი წლის წინ აფხაზი მწერლისა და უკრანალისტის, აზხორ კუდას ხელმძღვანელობით ბათუმში აფხაზური საკირაო სკოლა გაიხსნა, სადაც ნებისმიერი ასაკის მსურველებს საშუალება აქვთ, სასაუბრო აფხაზურ ენას და ეუფლონ. საკირაო სკოლის მსმენელები ძირითადად ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრები არიან. ზოგიერთს არასოდეს სმენოდა აფხაზური მეტყველება, ახლა კი თავისუფლად ჰყებიან აფხაზურად თავიანთი ვინაობის შესახებ, „სარა საფსურუა — მე აფხაზი ვარ!“ — ამბობებ ისინი სიმაყით აფხაზურ ენასა და ლიტერატურას მათ ადა ქუთელია ასწავლის. კითხვას, რატომ სურთ ამ ენის შესწავლა, ასე უპსუხეს: „აფხაზი ვარ და მინდა ჩემი დედაენა ვიცოდე“, „დედა აფხაზი მყავს და მინდა ვიცოდე დედის ენა“...

აჭარის აფხაზებს დღიმდე აქვთ ნათესაური კავშირი აფხაზეთისა და თურქეთის აფხაზებთან. „აფხაზეთში უკვე სხვანაირი აფხაზურით ლაპარაკობენ. თურქეთში უფრო შეინარჩუნეს აფხაზური ენა. იქ აფხაზური სოფლებია და იმიტომ. ისინი ძირითადად ერთმანეთზე ქორწინდებიან, რომ ეროვნული იდენტობა და ენა შეინარჩუნონ“ (აზხორ კუდებ); „ჩემი უფროსი და-ძმა იქ (აფხაზეთში) არიან. ტელეფონით აფხაზურად ველაპარაკები. ზაფხულში ვაპირებ წასვლას. ჩემი შვილი რომ დაიღუპა, ვერ ჩამოვიდნენ, გზები ჩაკეტილი იყო. ისინი იქით ტიროდნენ, მე — აქვთ. აფხაზს რომ დავინახავთ, ჭკუაზე არ ვართ სიხარულისგან“ (ფენია ელიზბარია-სელიბბა).

აფხაზებს ოჯახებში შემონახული აქვს წინაპართა ფოტოები, საგვარეულო გერბები, გაზეთები, ნივთები, მუკავირობის ისტორიაზე შექმნილი წიგნები, ლექსიკონები. საყრადღებოა, რომ აფხაზთა საფლავებზე ეპიტაფიები რამდენიმე ენაზეა დაწერილი: ქართულად, აფხაზურად, რუსულად და არაბულად. ზოგიერთ ქაზე ერთდროულად ორენოვანი ან სამენოვანი წარწერაა შესრულებული.

აფხაზურ კერძებად მიიჩნევენ ჰალვას, ღომს, აჯიკას, შებოლილ ან მოხარულ

ხორცს, შებოლილ ყველს, საცის, კუჭმაჭს, ტოლმას, ფელამუშსა და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზები ცდილობენ ეთინიკური, ენობრივი და კულტურული თვითშეგნების შენარჩუნებას. სურთ, ბათუმში გაისხნას აფხაზური კულტურის სახლი, სადაც ახალგაზრდა თაობა შეძლებს აფხაზური სიმღერის, ცეკვის, ზეპირ-სიტყვიერულისა და ზოგადად, აფხაზოლოგი-ასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას. იმავდროულად, აჭარის აფხაზები ქართული სინამდვილის, ქართული კოფა-ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქვამენ თავს. მათ უკარი ის ადგილი, სადაც უკვე 150 წელიწადია ცხოვრობენ. პატივს სცემენ ქართველებისა და აფხაზების ისტორიულ ერთიანობას, გრეტი-კურ კავშირს, ადათ-წესების მსგავსებას და სხვა. „ჩვენი კველაზე ახლო ნათესავები ქართველები არიან. რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვები მეგობრები არიან მხოლოდ“ (ნური კუდება). ისინი სიმაყით ამბობენ, რომ მათ სისხლში ქართული გენებიცაა (აჭარაში მცხოვრები აფხაზისთვის აფხაზეთულ აფხაზებს უთქვამთ, — „ქართველი აფხაზი“ ჩამოვიდათ). აფხაზთა უმრავლესობას აფხაზური გვარი შენარჩუნებული აქვს, ხშირად ისინი გვარით ახდენენ თავიანთი ეთნოკური იდენტობის მარკირებას. აჭარის აფხაზები იმასაც აცხადებენ, რომ „პირველი ხარისხის აფხაზები, ნამდვილი აფხაზები და სუფთა სისხლის აფხაზები“ არიან...

## სოჭიკო ზაავა



სოჭიკო აჭარაში, სადაც მირითადად აფხაზები სახლობენ. ავტორის ფოტო

# ფირალობა და პირველი გურული ფირალები

მმაბიჭყალი დაჩაგრული  
მე გარ სიმონა დოლიძე,  
ექვსი წელი შემისრულდა  
არ მიძინია ლოგინზე.  
უბედურად დადგა ჩემთვის  
ათას ცხრაას თერთმეტი წელი,  
გამიწყდა იმედის ძაფი,  
აწ სიცოცხლეს აღარ ველი!

... ეს სიმღერა ბავშვობიდან მახსოვეს.  
მამაჩემი, შალვა მახარაძე, ამ სიმღერას  
ხშირად მღეროდა. მამას ერთი ამბის  
მოყოლაც უყვარდა: თურმე კომუნასტების  
დროს ერთ-ერთი ფირალი მაღალ თანამდე-  
ბობაზე დაუნიშნავთ, ცოტა ხანში კი მოხსნა  
გადაუწყვიტეს, მაგრამ ვერაფერი გამოუვი-  
დათ. ხალხი ერთმანეთში ლაპარაკობდა:  
„მაი კამახი ტყეში რომ იყო ფირალად  
გაფარდნილი, იქიდან ვერ გამუაგდეს და  
ახლა კაბინეტიდან გამუაგდებ?!“



ხალხში დაგროვილი ბოლმისა და პრო-  
ტესტის გამომხატველმა, ფირალობის სახე-  
ლით ცნობილმა მოძრაობამ გურიაში ვულ-  
კანივით ამოხეთე XIX საუკუნის მეორე ნა-  
ხევრის ბოლოს. ფირალების ასპარეზზე გამო-  
ჩენა უმეტესწილად სოციალურ-პოლიტიკუ-  
რი კატაკლიზმების გამო მოხდა: რუსეთის მი-  
ერ საქართველოს ანექსია და მისი შედეგები,  
სახალხო აჯანყებები, საგლეხო რეფორმა,  
მცირეციწანობა, რუსეთ-თურქეთის ომი, რა-  
მაც ბევრ ადამიანს ნებსით თუ უნებლივედ ხელ-  
ში თოვი ააღებინა. გლეხები უარს ამბობდნენ ე-  
ფოველნაირ გადასახადებზე, ძალით ისაკუთ-  
რებლნენ ტყესა და საძოვრებს, წვავდნენ მემა-  
მულეთა სახლ-კარსა და ქონებას, ხოცავდნენ  
თავად-აზნაურებს, სამღვდელოების წარმო-  
მადგენლებსა და მეფის მოხელეებს. 80-იანი

წლების დასაწყისიდან ტყეში ფირალად მო-  
სახლების გაფარდნამ მასობრივი და არნა-  
ხელი ხასიათი მიიღო. ერთი შეხედვით, ფი-  
რალები სოციალურად შევიწროებული გლე-  
ხობის ფენას განეკუთვნებოდნენ, მაგრამ სი-  
ნამდვილეში მათ დიდ რიცხვს გაღატა კბუ-  
ლი აზნაურები შეადგენდნენ. ეს თოფიანი კა-  
ცები იარაღითა და ძალადობით წყვეტდნენ თა-  
ვიანთ პრობლემებს და თვითონაც ძალადობ-  
რივი სიკვდილით ასრულებდნენ სიცოცხლეს.  
საისტორიო წყაროებში გურულ ფირალ-  
თა თავგადასავალი პირობითად და ყოფილია  
ორ ტალღად: პირველი ფირალების პროტესტს  
სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონ-  
და (XIX საუკუნის მიწურული), მეორე ტალ-  
ღის ფირალები კი ხელისუფლებაში მისვლის-  
თვის იბრძოდნენ (XX საუკუნის დასაწყისი).



გურული კლების კარ-მიდამო, XIX ს. მაწურულს

დროთა განმავლობაში ფირალები (ტალ-ღას მნიშვნელობა აღარ აქვს) ლამის მითურ პერსონებად იქცნენ, მათზე შექმნილი ლექ-სები და სიმღერები კი ფოლკლორის, ლეგენ-დებისა და ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნა-წილი გახდა.

იმდროინდელ პრესაში თითქმის ყოველ-დღიურად წაწევდებოდით მასალებს ტყეში გა-კარდნილ ფირალთა თავგადასავლის შესახებ, განსაკუთრებით ეს თავალში საცემა 1881 წლი-დან. ქართულ-რუსული პრესას ერთი თვალის გადავლებაც ნათელს ხდის, რომ არსებობდა ფირალობასთან დაკავშირებული ორი საპი-რისპირო აზრი: ერთი ფირალობას საზოგადო-ების თანდაყოლილ სენად მიიჩნევს, რომელიც საჭიროა ამოიძირკვოს, მეორე კი გვიჩვენებს, რომ ფირალობის ფენომენი არ არის მარტი-

ვი საქმე და მოუწოდებს საზოგადოებას, უფ-რო ღრმად ჩასწვდეს ამ პრობლემის დედა-აზრს, მის გამომწვევ მიზეზებს და იბრძოლოს მისი გამოსწორებისთვის.

ეს თემა იმდენად აქტუალური იყო, რომ იქმნებოდა მხატვრული ნაწარმოებები (ჟნა-ტე ნინოშვილის „სიმონა“, ლალიონის „ფი-რალი დავლაძე“, მოგვაიანებით ვვგ. ურუშა-ძის „ფირალები“). ჟნატე ნინოშვილი ზედმი-წევნით კარგად იცნობდა გურიის იმდროინ-დელ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, საზოგადოების გუნება-განწყობილებასა და მათ დამოკიდებულებას ფირალობისადმი. ამ თემისადმი მიძღვნილი მისი წერილები „ფე-რიაში“ იბეჭდებოდა.

„— ეშველა, მოჰკლეს! — მოდის გურიი-დან... ამბავი.



შეიარაღებული გურულები

ფირალი კაჭაძე



ვინ მოკლეს? აი, ღლონტი, მქუზლაი, და-  
თუნაიშვილი, გოგიტიძე, დარჩია და, რა ვიცი,  
რავდენი კადვე სხვა.

მერე ვინ არიან ეს ღლონტი, მქუზლაი,  
დარჩია, თათრები, „ბურსუმანები“, თუ ჩვენივე  
მომძენი?

„გასული წლებისას რომ არ გამოუყდეგთ,  
მარტო შარშან და წრეულს აგერ ათზე მეტი  
„ფირალი“ მოჰკლეს გურიაში. მერე, იცით ვინ  
არიან ეს ფირალები? ცოლშვილიანი კაცები,  
რომლებიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ,  
სახლმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მოძ-  
მებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ.  
აი ასეთი ადამიანი რაღაც უხილავი, უბედუ-  
რი გარემოების მიზეზით დღეს ტოვებს ცოლ-  
შვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით  
გარბის ტყეში, — ფირალდება!“

ფირალებს, როგორც გარეულ ნადირსა და  
ცოფიან ძალებს, ისე დასდევდნენ. მათი მა-  
დევრები უმეტესწილად სხვა კუთხიდან მივ-  
ლინებულები ან ჩინ-მედლებს გამოკიდებული  
ადგილობრივი ჩინოვნიკები იყვნენ, რომლე-  
ბიც არანაირ ანგარიშს არ უწევდნენ ადგი-  
ლობრივ პირობებს. არ იცნობდნენ ხალხს, მათ  
წეს-ჩვეულებებს და არც უნდოდათ, გასცნო-  
ბოდნენ. მათვეს მთელი გურია ფირალებით  
დასახლებული ქვეყანა იყო, რომლის წამალი  
მხოლოდ ტყვიაა.


სიტყვა „ფირალი“ არაბულად გაქცეულს  
ნიშნავს. XVII საუკუნეში ამ სახელწოდების  
ქვეშ გაერთიანდნენ თურქეთის არმიის დეზერ-  
ტიორები. საფიქრებელია, რომ ტერმინი აჭარი-  
დან არის შემოსული და დამკვიდრებული გუ-  
რულში. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტერ-  
მინს არ იცნობენ. გურიაში ფირალი არ ნიშ-  
ნავდა ყაჩაღს, მძარცველს ან კადვე მკვლელს.  
ხალხის აზროვნებაში ფირალები უფრო შუა  
საუკუნეების რაინდული რომანების გმირებს  
ჰგავდნენ თავისი მოქმედებით, ქცევითა და და-  
საყაჩაღებელი ობიექტის შერჩევით (ყოველ  
შემთხვევაში, პირველი ტალღის ფირალები  
მაინც). მათი შსხვერტლი უმთავრესად მდიდა-  
რი ხალხი, მემამულები და ვაჭრები იყვნენ.

მკვლევარი აღვევი სანადირაძე პირდაპირ  
მოუწოდებდა, რომ „ეს გურული სახელწო-  
დება საერთოდ უნდა დამკვიდრდეს ლიტერა-  
ტურაში ე.წ. არსენას ტიპის ყაჩაღის აღსა-  
ნიშნავად, თავისუფლებისათვის მებრძოლ  
დევნილთა სახელად, თორებ ყაჩაღი არასწო-

რი ტერმინია — იგი უფრო მძარცველს ნიშნავს“. ამავე აზრისაა მკვლევარი პეტრე უმიკაშვილი: „ყაჩაღს ეძახიან მძარცველს კაცსა, მტაცებელს, კაცის მკვლელს, ერთის სიტყვით ავაზაკს...“ თუმცა აღსანიშნავია, რომ თურქული წარმომავლობის სიტყვა „ყაჩაღი“, ფირალის მსგავსად, ასევე გაქცეულს, გავარდნილს ნიშნავს.

იმ დროს ბევრი, მათ შორის განათლებული ქართველიც მიიჩნევდა, რომ ფირალობა გურული გლეხისთვის დამახასიათებელი, ლამის თანდაცოლილი თვისება იყო. რუსი მოხელეები კი საკუთარ პატაცებში სიტყვა გურულს ესაბამის უასანაბრებდნენ. პოდპოლკოვნიკ როჭანოვის მიერ შედგენილ შიდა მოხმარების ჩანაწერებში (1913), მითითებულია, რომ გურული ეტიმოლოგიურად ნიშნავს მუდმივ ყაჩაღს(!) და რომ ქართველთა შორის გურულები ყველაზე განვითარებული და მეტრძოლი ხალხია.

მკვლევარი თელო სახოკა წერდა: „გურიას ერთხანს მეტად ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ზოგნი, ვინც არ იცნობდნენ აქაურობას, ამბობდნენ: ბუნებაა ისეთი, ყაჩაღობა აქაურების დაბადებითვე თანდაცოლილი თვისებააო. გურული თუ არ სძარცვეს, თუ ვისმე ექლში არ უჭირს და არ აღრჩობს, ისე გული ვერ მოუსვენებსო. ყოველვე ამ ვითომ თანდაცოლილი თვისებით უნდა აქსნათ, კერძო ფაქტი უჰქველად უნდა განუზოგადებინათ: ერთს რომ რამე სიწუწე ჩაედინა, უეჭველად ბუკითა და ნაღარით დუნიასთვის უნდა შეეტყობინებათ შეხეთ გურულებს, ქვეყანას ძილს უფრთხოებენ, მათზე ახი იქნება, სულ ავყრიდეთ აქედან. კმარიდა, გურულს მარცხად, სრულებით უნებლივთ, რაიმე კანონის საწინააღმდეგო დამართონოდა, მაშინვე ფქტები დადგებოლენენ ყველანი: არიქა, შეთო კო, გაწერდეთ, ჩააგდეთ ბძელეთში, მზის სანთელს დაანატრეთ, გზეკუცია ჩაუყენეთ ოჯახშიო. არც კი დაცლილენენ, ბოდიში მოქადა დამნაშავეს. ისე გააბოროტებდნენ ლანძღვით, ისე თვალის დახამხამებაში შელახავდნენ მის თვემოყვარეობას, მის წმიდათა-წმიდას, რომ კაცი იძულებული ხდიბოდა ფირალად გაყარდნილიყო, ე.ი. ისეთ კაცად იქცეოდა, რომლისთვისაც არ არსებობდა, როგორც ფრანგები ამბობენ, ნიფო, ნილო (არც რჯული არც კანონი), გურული ფირალი უკანასკნელი სისტემის თოვტს



ქალაქ თბილეთის ხედი

გურულები ნაციონალურ კოსტიუმებში





პარველი ტალღის ფირალები ნიკოლოზ შეტუშია და სისონა დარჩა

იყიდდა, პატრონებით დაიტვირთებოდა და გავარდებოდა. საგანი გავარდინისა ორი ჰქონდა: ერთი — შური ეძია შეურაცხმყოფელთა, და მეორეც — თავი დაეფარა მდევნელთაგან“.

ფირალების ზუსტ რიცხვს, ალბათ, ვერავინ დასასწელებს, ყველას არც გვარ-სახელი და არც ფოტო შემონახულა. არსებობს ზოგიერთი ფირალის ფოტოგამოსახულება, მაგრამ თითქმის არაფერია ცნობილი მათი პიროვნებების შესახებ. მაგალითისთვის საკმარისია გიორგი ქინქლაძე და აგია ჩხაიძე. გადმოცემით ისინი ერთად ფირალობდნენ, თუმცა წლები ცნობილი არ არის. ქინქლაძე სოფელ ორაგვესთან პოლიციასთან შეტაკებისას მძიმედ დაიჭრა და სოფელ აკეთში გარდაიცვალა, სადაც დაკრძალეს კიდეც. ჩხაიძე რუსეთსა და საქართველოში „მოღვაწეობდა“ — ბანკებს ძარცვადა. ის გურიაში დაიჭირეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და ჩამოახრცვეს. არსებობს გადმოცემა, რომ როცა მასთან საკანში მღვდელელი და პოლიციელი შემოიტოვის შეტაკება მომდევნობის შემდეგ მოაფრინა. რომ არა მასთან მართლი გადაიცვალა, მაგრამ ფირალს ვერაფერი მოუხერხეს, ამიტომ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. სახლის ჭერი როცა ჩამოინგრა, გოგორიშვილი მაშინ გამოვარდნილა ცეცხლიდან და ჯარს ხელიდან მაინც დაუსხლტა.

სახლგანთქმული ფირალის, მელქისედეკ გუნააიშვილის მმის, აპოლონის დღიურებში მოხსენიებულია ფირალი აკაკი ზოიძე. ის ერთი ღარიბი გლეხი იყო, მებატონე ქარცივაბის შინაგანი. ცხოვრობდა პატარა ქოხში და ჰყავდა ერთი მარჩენალი ძროხა. მან ცოლის მოყვანა გადაწყვიტა და ბატონთან ნებართვის ასაღებად მიყიდა. ბატონმა უთხრა: „ვაძახო, თუ ქალის მოყვანა გინდა, მაშინ შენს ძროხას მოამბი რქაში ბაწარი და მომგვარეო და მაშინ ნებართვას მოგცემო“. შეურაცხოფილმა ზოიძემ აიღო თოფი და ბატონი თავისსავე ქზოში გააგორა, თავად კი ოსმალეთში გადაიხვეწა. მუსლიმი ქართველების დახმარებით იქვე იპოვა თავშესაფარი. მაგრამ როგორც კი შანსი ეძლეოდა, გადადიოდა გურიაში და ქარცივაბების ოჯახს აწიოკებდა: ხან ცხენს, ხან ძროხას, ხან კი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს სტაცებდა და ჩოლოქს გაღდა ჰყიდდა. ქარცივაბებს გაგლენიანი ოჯახი ჰქონდათ და ხელისუფლებამ ჯილდო დააწესა ზოიძის დაჭვრისთვის. დაიჭირავეს ვინძე სანდრო ბოლქვაძე, რომელიც როგორც ვითომდა დევნილი და ციხიდან გაქცეული გადავიდა ოსმალეთში და ზოიძესთან დაახლოება სცადა. პირველ ხანებში ზოიძემ ბოლქვაძე ახლოს არ გაიკარა.

დროთა განმავლობაში კი ყურადღება მოადუნდა, ამით ისარგებლა ბოლქვაძემ და ერთ ღამეს მიადგა მას სახლში. როცა ნამძინარევი ფირალი ზღურბლზე გამოჩნდა — დამბახა დაახალა. სიკვდილის წინ ზოიძემ მკვლელს უთხრა — შენ და შენ შეილებს ხეირი არ გენებათო. ფირალის მკვლელობისთვის ზოიძემ კარგი გასამრჯელო მიიღო და „გაკეთდა“, ორი შვილი გაზარდა, მაგრამ ზოიძის სიტყვები მაინც წინ დაუხვდა. ერთხელ ლეღვზე ასული ბოლქვაძე ჩამოგარდა და ღობის სარს საჯდომით დაესო, სარი კისრის არეში გამოივიდა. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ერთი ვაჟი სულ მალე გარდაიცვალა, მეორე კი გაგიყდა. ის იჯდა ხოლმე გზის ნაპირას, თხრიდა მიწას და იძახდა — აქ არის დალატი დამარხულიო... გურიაში ამბობდნენ, რომ ფირალების არც ერთი გამცემი, მკვლელი და მოღალატი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა და არც მის ოჯახს გაუხარიაო.

არსებობს ვინმე ერმალო კვაჭაძის მოგონება, რომელიც ასახელებს ოთხ ფირალს, რომელებიც ბატონებს გაექცენ და სოფელ ორაგვესთან მდებარე ერთ დაბურულ კლდოვან სექს შეაფრეს თავი. ესენი იყვნენ მიქელა კვაჭაძე ბუჭუა ბოლქვაძე (რომელსაც შემდეგ ბურძგლა დაერქვა), ლიხაურელი ურუშაძე (რომელსაც ბატონი შემოკვდომია) და ვიდაც აჭარელი კაჟიოღლი. ფირალების მეთაური ბუჭუა ყოვილა. გურიელი ხშირად აგზავნიდა, თურმე შეიარაღებულ კაცებს მათ დასაჭერად,

მაგრამ ფირალები ყოველთვის ამარცხებდნენ მათ ერთხელ ბუჭუა მაინც ჩაიგდეს ხელში, გურიელმა ბუჭუა თავისთან წაიყვანა ყარაულად და ოთხარშინიანი თოფიც აჩუქა. ბურძგლა დიდხანს ვერ გაჩერდა თავადთან და გაიპარა. გურიელმა მას მდევრები დაადვენა, რომლებმაც ფირალი მოკლეს.

ანტონ ხინთიბიძის წიგნის „გურული ფირალების“ მიხედვით კი ერთ-ერთი პირველი ფირალი კრწა ცეცხლაძეა. ცეცხლაძე ოზურგეთის მაზრის სოფელ გოგიეთის მცხოვრები იყო, რომელიც რამდენიმე წლის ფირალების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იან წლებში შერიგებია მეფის მასურობას და ოჯახში დაუწყია მუშაობა. გარდაიცვალა დახლოებით 70 წლისა.

მაამიტობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ეს პრობლემა მხოლოდ გურიასა და მის მოსახლეობას აწუხებდა, ყაჩაღობა მთელ საქართველოში იყო გაგრცელებული. XIX საუკუნის მიწურულს „დროებამ“ ამ პრობლემისადმი მიძღვნილი წერილი სათურით „ავზაკობის შესამცირებლად“ პირველ გვერდზე მოათავსა. წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ყაჩაღობა არა მარტო პროვინციების, არამედ თვით დედაქალაქის უზარმაზარი პრობლემა ყოფილა: „ჩენში ხდება ხშირად ავზაკობა. ქურდიბენ ღამით, საღამოთ, დღისით, შუადღეზედ, იცარცვებიან მიყრუებულ ქუჩებში, ბაზრებში, მაღადნებზე, გალავინის პროსპექტზე... ერთის სიტყვით, ყველგან და ყოველთვის“...

## ირაკლი გახარაძი

გურულები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე





# ჩანარის ეკოლოგიური გულგარეთში

ბულგარეთში რვა პროფესიონალმა მცვინ-  
თავმა უძველესი ნავსადგური და ბაზარი აღ-  
მოაჩინა, ადრებიზანტიური ციხესიმაგრე აკ-  
რას მახლობლად, ქალაქ ჩერნომინეცის სამ-  
ხრეთით, ვრომოსის ფურუში. ძიებას ეროვნუ-  
ლი ისტორიული მუზეუმის დირექტორის მო-  
ადგილე, დოქტორი ფინ ხრისტოვი ხელმძღვა-  
ნელობდა.

მკვლევართა ვარაუდით, აქ შედარებით მცი-  
რე გემები იცლებოდა, საქონელი კი ამჟამად  
ჩერნომინეცის ტერიტორიაზე მოქცეული ნა-  
ხევარკუნძულისთვის, სკეტი ნიკოლას მცხოვ-  
რებთათვის იყო განკუთვნილი.

წალენჯიშ მუშაობისას მუზეუმის მკვლე-  
ვართა ჯგუფმა დიდი რაოდენობით სამშენებ-

ლო და საყოფაცხოვრებო კერამიკა, ცხოველ-  
თ ძვლები, ქვის ნაგებობათა ვრცელი ბლო-  
კები, სხვადასხვა ეპოქის ჭურჭელი და მისი ნამ-  
სხვრეცები აღმოაჩინა.

ნაპოვნი იძლევა წარმოდგენას, როგორ  
დაცურავდნენ გემები ბულგარეთის სახაპი-  
როს ამ ნაწილში. ფინ ხრისტოვის თქმით, „აკ-  
რასთან აღმოჩენილი ნივთების დიდი ნაწილი  
მოწმობს, რომ ისინი აქ ბოსფორის გავლით  
მოხვდა“.

სხვათ შორის, წლეულს ზაფხულში იქვე  
იპოვეს უძველესი ნავსადგური, რომელიც წის  
საბჯენებით, ისეთი წესითაა აგებული, რო-  
გორც XIX საუკუნეზე იყო მიღებული. ნავ-  
სადგური განლაგებულია სიმაგრე აკრას  
წელით დაფარული ნაწილის მახლობლად,  
რომელიც VI საუკუნით თარიღდება და ად-  
რებიზანტიურ ეპოქას გნეკუთვნება. მცვინ-  
თავებმა უფრო გვაინი პერიოდის კვალიც აღ-  
მოაჩინეს — XIX საუკუნის მეთევზეთა ქოჩე-  
ბის ნაშთები და აკრას კონცხის კლდეებთან  
დაღუპული XX საუკუნის გემი.

მეცნიერთა თქმით, ეს ყველაფერი რამდე-  
ნიმე დღის მუშაობის შედეგია, ექსპედიცია გაგ-  
რძელდება და მონაწილეებიც კიდევ ბერ სი-  
ურპრიზს ელიან. დოქტორ ხრისტოვის თქმით,  
ეს ადგილი ერთ საიდუმლოსაც ინახავს. აქ  
აღმოჩენილია მეორე მსოფლიო ომის დრო-  
ინდელი, შესანიშნავად შენახული ბუნერები  
როული მიწისქეშა ლაპირინთით. მეცნიერის  
განცხადებით, არქეოლოგიური აღმოჩენების  
გვერდით განლაგებული ბუნერებიც შესაძ-  
ლოა „ეფექტურ ატრაქციონად იქცეს“.



მცვინთავებმა  
შევი ზღვის  
ფსეურზე  
ნავსადგური  
და ბაზარი  
იძლევს



მომზადებულია LiveScience-ის  
მასლების მიხედვით

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მთხოვანი



თაროვი დიდ საჭარი იმპერიაზების

შეაგროვე ამაგი და შეამარი „დისენავარის ენციკლოპედიის“

## 4 ტომავალი საკათარი ხალით !

დისენავერის დიდი ენციკლოპედიის ოთხი ტომი, ოთხ, განსხვავებული ფერის, ყუთში მოექცევა. თითოეულ ყუთში (ანუ ტომში) 16 წიგნი მოიყრის თავს.

ყოველი ეს წიგნი ყი ახალი სამყაროა.


პირველი ტომის პირველი წიგნი სპეციალურ ყუთთან ერთად გამოვიდა, რომელშიც მთელი პირველი ტომის წიგნები უნდა მოათავსოთ.

წიგნის ფასი  
**2 ლარი**



ცისალი

ყოველ მოხატას!



თითოეული 16 წიგნის განხილვა  
საუკეთესო ვერსია!  
საუკეთესო ვერსია!

ეციპინი დისენავარის ენციკლოპედია:

კართულ ენაზე ან ქართულ ენაზე

და გაეცანი უწეველო გაიცანი სამყარო და თან დახვეწე

მოვლენებსა და ინგლისური ყოველ მომღერი ტომთან

საინტერაქტურ ფაქტებს ერთად აიმაღლე ენის ცოდნის საფეხური

იქითხათ წიგნის მაღაზიაში და პრესის გამავრცელებლისთან!



პოლონეთის მეფე იან III სიბიური და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი ლუის მარკუს და მამუს გვიანდები 1700 წლის 1 იანვრის ვენის ბრძოლის შემდეგ

## ბოგდან გურჯიშვილი პოლონეთის კაზაციი იუნიონი

ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ საქართველოსა და პოლონეთის შორის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები XV საუკუნეში დაიწყო, როცა აქტუალური ვახდა ვეროპული ქვეყნების მიერ ანტიოსმალური კავალიციის შექმნა. ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (მეფობდა 1479-1505 წლებში), რომელსაც საჭიროდ მისხდა დასტურეთის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირი, ამ მიზნით ელჩები გავზუნა პოლონეთის მეფე ალექსანდრე I იაველონიან (1461-1506). ელჩობის მიზანი საერთო მტრების წინააღმდევ კავალიციის შექმნა იყო. პოლონეთის ვარდა, კონსტანტინემ ელჩები გავზუნა რომის პაპთან და ესპანეთის მონარქთანაც, თუმცა ელჩობას შედევი არ მოჰყოლია.

პოლონეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა XVII საუკუნეში, ქართლის მეფე ვახტანგ V შავაზის დროს (მეფობდა 1658-1715 წლებში), როდესაც პოლონეთმა ოსმალეთის წინააღმდევ მოკავშირთა ძებნა დაიწყო. პოლონერები ქართულ ურთიერთობებში ცანტრალურ ფიგურას წარმოადგენდა ერთი ქართველი, რომელიც პოლონეურ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც ბოგდან გურჯიშვილი. ბოგდან გურ-

ჯიცი, ეროვნებით ქართველი, XVII საუკუნის მეორე ნახევარში ოცდაათი წლის განმავლობაში პოლონეთის სამი მეფის ელჩი და დიპლომატი იყო. პირველი, მეფე იან II კაზიმერი, პოლონეთის უკანასკნელი მეფე და ლიტვის დიდი მთავრი იყო ვაზას დინასტიიდან და 1648-1668 წლებში მეფობდა. შემდეგ, როცა იან II კაზიმერი ტახტიდან გადადგა და პოლონეთის ტახტზე მისალ კორიბუტ ვიშნივეცკი ავიდა, ბოგდანი უკვე მისი ელჩი გახდა. მე-

ფე მიხალი, წარუმატებელი მეფობის შემდეგ, 1673 წელს, 33 წლის ასაკში გარდაიცავლა. მისი სიკვდილის შემდეგ პოლონეთში უკვე იან III სობიესკი (1629-1696) გამეფდა. იან III სობიესკი, პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და წარმატებული მონარქი, რომელიც პოლონეთის მეფისა და ლიტვის დიდი ჰერცოგის ტიტულს სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა, საქართველოსთან კავშირის დამყარებასა და გაღრმავებას ცდილობდა. სწორედ იან სობიესკი სარდლობდა პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის ჯარს, რომელმაც რომის საღვთო იმპერიის ჯართან ერთად, 1683 წლის 12 სექტემბერს, ვენასთან ბრძოლაში დაამარცხა თურქეთის ჯარი და თურქების ორთვიანი ალყის შემდეგ გაათავისუფლა ენა, რის გამოც რომის პაპმა იან სობიესკის დასავლეთ ევროპული ცვილიზაციის მხსნელი უწოდა. ბოგდან გურჯაცკიმ ახლა უკვე იან III-ის კარზე განაგრძო ელჩისა და დიპლომატის მოყალეობის შესრულება. სწორედ პოლონეთის ამ გამორჩეული მონარქის მეფობის დროს იყო განსაკუთრებით ნაკოფიერი მისი ქართველი დიპლომატის, ბოგდან გურჯაცკის მოღვწეობა.

ვინ იყო ბოგდან გურჯაცკი? ქართველი საისტორიო წყაროები მის შესახებ არაფერს გვეუბნება. საგარაუდოდ, ის ქართლის მეფე გახტანგ V-მ მიაულინა პოლონეთში. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბოგდან გურჯაცკი ქართლის მეფე როსტომს (მეფობდა 1633-1658 წლებში) გაუგზავნია პოლონეთში საგანგებო მისით XVII საუკუნის 50-იან წლებში. რა იყო პოლონეთის ქართველი დიპლომატის ნამდვილი (ქართველი) სახელი და გვარი, უცნობია. რა თქმა უნდა, მას, ქართველს, ბოგდანი არ ერქმეოდა. ბოგდანი მისთვის პოლონეთში დარქმეული სახელია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ქართველი სახელი ასო ბ-ზე იწყებოდა (ბაგრატი, ბაქარი, ბესიკი, ბეშქენი) და ამიტომ შეიძრა მისთვის ბოგდანი, რომელიც პოლონერად ღმერთის საჩუქარს, ღმერთის ბომებულს ნიშნავს. რაც შექტება გვარად აღებულ გურჯაცკის, მას პოლონერი დაბოლოება აქვს და გვარის მატარებლის ეთნოკურ წარმომავლობაზეც მიანიშნებს. ცნობილია, რომ ბოგდანს პყოლია ძმები — ფარსადანი, ნაზარე და მერაბი. მათგან ერთ-ერთიც, ფარსადანი, პოლონეთის მეფის კარზე მსახურობდა და

მეცნ  
აღვესანდრუ  
I ავგელონი



მეცნ  
იან II  
კაზიმირი



მეცნ  
მახალ  
კორიბუტ  
გაშვილები





ოლესკის ციხესიმაგრე, საღაც დაიძადა  
აან სობიეკი



მეფე აან III  
სობიეკი

მეფე აან სობიეკი კენასთან ბრძოლის დროს



იან III-ის მეფობისას პოლონეთის დესპანიც  
ყოფილა.

პოლონური ცნობების მიხედვით ქართვე-  
ლი (ალბათ ქართლის) მეფის (სავარაუდოდ,  
როსტომის ან ვახტანგ V-ის) სამსახურში მყო-  
ფი გურჯიცე XVII საუკუნის მეორე ნახვ-  
რიდან უკვე პოლონეთშია და, სამხედრო საქ-  
მის საუკითხესო მცოდნე, 1662 წელს სამეფო  
ჯარების როტმისტრი ხდება. სამხედრო კამ-  
პანიურში გამოჩენილი მამაცობისთვის, პოლო-  
ნეთის სეიმის მოთხოვნით, 1676 წელს ბოგ-  
დნასა და მის მმა ფარსადანს შლიახტიჩის (თა-  
ვადის) წოდება უბოძეს, რაც პოლონეთის სა-  
კორონაციო სეიმის კონსტიტუციითაა დადას-  
ტურებული. ბოგდანმა მიიღო აგრეთვე ლენ-  
ჩიცის მამულებიც.

1668 წელს ბოგდან გურჯიცე, რომელიც  
კარგად ერკვეოდა საერთაშორისო პოლონე-  
კაში და აღმოსავლურ და ვეროპულ ენებსაც  
ფლობდა, მეფე იან კაზიმეუმა ირანის შპპ სუ-  
ლეიმნის კარზე გაგზავნ ელჩად. მას პოლო-  
ნეთის მეფის სახელით უნდა მიელოცა შპპის-  
თვის ტახტზე ასვლა და ირანში არსებული კა-  
თოლიკური მისიების მფარველობის გარანტია  
მოეთხოვა. ბოგდანს საიდუმლო დავალებაც  
ჰქონია — ირანის ხელისუფლებისგან თურქე-  
თის წინააღმდეგ მოკაშირეობაზე თანხმობა  
უნდა მიეღო. გამგზავრებამდე პოლონეთის მე-  
ფის კანცელარიაში ბოგდანმა მიიღო დავალე-  
ბა, საქართველოში გავლით მყოფს, ქართლის  
მეფე ვახტანგ V-ისთვის გადაეცა პოლონეთის  
მეფის კანცლერის, იან ლეშჩინსკის წერილე-  
ბი თაგზიანი თხოვნით, მფარველობა გაწია  
პოლონეთის ელჩისთვის. უკან დაბრუნებისას  
ბოგდანს უნდა გაერკვა, როგორი საფარი  
ურთიერთობის დამყარება შეეძლო პოლონეთს  
საქართველოსთან.


ბოგდანი მართლაც სწვევია მეფე ვახტანგ  
V-ს და მისთვის პოლონეთის მეფის კანცლე-  
რის წერილები გადაუცია. შემდგომშიც, უპე  
ირანში მყოფს, მას მჭიდრო ურთიერთობა  
ჰქონია საქართველოსთან. ცნობილი პოლან-  
დიელი მოგზაურის, იან სტრეისის ცნობით,  
ბოგდანს თავისი ექიმი აღამიც კი გაუგზავნია  
შეუძლოდ მყოფი ვახტანგ V-ისთვის, ხოლო  
მოგვიანებით მეფე გიორგი XI-ისთვის თბი-  
ლისში სასახლე შეუძნია. ირანში ბოგდანმა  
წარმატებით შეასრულა პოლონეთის მეფის  
დავალებები. მან მიაღწია იმას, რომ ირანის



XVII-XVIII  
საუკუნეების გარშემოს  
ხედი სამეფო ციხე-  
სიმაგრიდან



ბეჭე იან III  
ლუის ჯარს  
კენასთან  
გამარჯვების  
შემდეგ



ისპაპანი. XVII სუკუნის იღუსტრაცია

შაპმა კათოლიკე მისიონერებისთვის მიცემული პრივილეგიები დაამტკიცა და ერებანში იეზუიტთა ახალი მონასტრის დაარსების ნებართვაც გასცა.

ირანში თავისი პირველი ელჩობიდან ბოგდან გურჯიცკი 1672 წელს დაბრუნებულა და შემახილა ასტრახანში ჩასულა. გზად კელავ გაუვლია საქართველოში და პოლონეთის მეფე მიხალ ვიშნოვცისთან წაუდია მეფე ვახტანგ V-ის 1671 წლის 26 მარტით დათარიღებული წერილი.

მოსკოვში ჩასული ბოგდანი საელჩო პრიკაზის ხელმძღვანელმა არტემ მატვეევმა მიიღო. საუბარი შეეხო რუსეთ-ირანის ურთიერთობებს და, რაც მთავარია, განიხილეს კახეთის მეფე თუმაშურაზ I-ის შვილის, უფლისწულ ერუალეს საქართველოში დაბრუნების საითხი. ერეკლე ბატონიშვილი ყმაწვილობიდან რუსეთის მეფის კარზე იზრდებოდა და რუსეთში ნიკოლაის სახელით იყო ცნობილი. ბოგდანი არასწორად მიიჩნევდა კახეთის მეფეთა

რუსულ ორიენტაციას და ამიტომ არც ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნებას მიიჩნევდა მართებულად. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ის ქართლის მეფის, ვახტანგ V-ისა და მისი შვილის, არჩილ II-ის პოლიტიკას ემხრობოდა — ბაგრატიონების ქართლის (მუხრანბატონების) შტოსთვის მიუღებელი იყო რუსეთის გავლენის ზრდა საქართველოზე და მისი პოლიტიკა ირანთან ნორმალური ურთიერთობების პირობებში საქართველოს გაძლიერებას ემსახურებოდა. ვახტანგ V შაპანავაზის პოლიტიკის მიზანი ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანება და დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრუბთან მჭიდრო კავშირის დამყარება იყო ქართლის პეგემონიით, აგრეთვე გულისხმობდა მეფის ცანტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, ფეოდალების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას, ქართლის სამეფოს საშინაო ცხოვრების მოწესრიგებასა და ეკონომიკურ აღმავლობას. საგარეო პოლიტიკაში ვახტანგ V

ირანთან შშვიდობიანი ურთიერთობის დაცვას ცდილობდა. ვახტანგ V-ის მიერ წარმართულება საგარეულო-პოლიტიკურმა გურისმა ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს გაძლიერებასა და ეკონომიკურ წინსვლას.

პოლონეთში დაბრუნებულ ბოგდანის ელჩობას 1676 წელს უკვე მეფე იან III სობიესკი გზაგნის დიპლომატიური მისით ირაშმი. იმის გამო, რომ ოსმანთა იმპერიის მხრიდან საფრთხეს გრძნობდა, იან სობიესკიმ გურჯიცკი ისპაპანში გაგზავნა მისით, ხეფიანთა ირანი თურქეთის წინააღმდეგ კრალიციაში ჩაბმაზე დაეთანხმებინა. ამის შემდეგ ირანში პოლონეთის მეფის რეზიდენტი ბოგდან გურჯიცკი ოცდასამი წელი ცხოვრობდა ამ ქვეყნაში და წარმატებით ასრულებდა პოლონეთის მეფის ელჩის დიპლომატიურ მისიას და მუდმივი რეზიდენტის მოვალეობას ირანის შაჰის კარზე. პოლონეთის მეფე თავის რეზიდენტთან ურთიერთობისთვის დროდაღრო გზაგნიდა თავის წარმომაღენლებს ირანში, რომელთა შორის დესპანი ფარსადან გურჯიცკი, ბოგდან გურჯიცკის ძმაც იყო. ბოგდან გურჯიცკის დიპლომატიურ კარიერაში განსაკუთრებით გამოიჩინა თურქეთის არმიის ვენასთან განადგურების შემდგომი პერიოდი.

პოლონელ ისტორიკოს ბოგდან ბარანვასკის ცნობით, ბოგდან გურჯიცკის ირანის შაჰ სულეიმანისგან მამულები ჰქონდა მიღებული შირვანის პროვინციაში. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ირანში ყოფნისას ბოგდანს ისლამიც მიუღია, მაგრამ შემდეგ კვლავ კათოლიციზმს დაბრუნებია.

შემთხვევით არ არის, რომ პოლონეთის სამეფომ სწორედ ქართველი ეროვნების ელჩი მიავლინა ირანში — საქართველოს ხომ ირანთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბოგდანის წარმატებული ელჩობის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორი აღბათ სწორედ ეს ისტორიული გამოცდილება იყო, თავად ელჩის პიროვნულ და პროფესიულ თვას სებებთან ერთად.

1699 წლის ნოემბრის ბოლოს ბოგდან გურჯიცკი ირანიდან მოსკოვში ჩასულა და იქიდან პოლონეთში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ მოხუცი დაპლომატი პოლონეთში ვერად დაბრუნდა. ბედის ირონიით, ანტირუსული პოზიციით გამორჩეული ბოგდან გურჯიცკი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი დაპლო-



**ქართლის მეფე როსტომი. ქრისტოფორო დე კასტელის ჩანახატი**

მატიური სამსახურის განმავლობაში პოლონეთის სამეფოს ინტერესებს ემსახურებოდა და არც თავის სამშობლოს, საქართველოს ივანწევებდა და რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლონერი დიპლომატიის წარმატების საქმეში, სწორედ მოსკოვში გარდაიცვალა 1700 წლის 12 იანვარს. ბოგდან გურჯიცკი მოსკოვშივე დაკრძალეს.

თუ გავითვალისწინებთ, რა ბარბაროსულად მოექცენ რუსეთში რუსეთისავე არმიის გენერალ პეტრე ბაგრატიონის საფლავს, გენერლისა, რომელმაც სიცოცხლე შესწირა რუსეთს, ნაკლებად საკარაულოა, რომ მოსკოვში მოფრთხილებოდნენ და ხელუხლებლად შემოენახათ პოლონელი დიპლომატის, ეროვნებით ქართველი ბოგდან გურჯიცკის საფლავი, მით უმეტეს, რომ გურჯიცკი საგარეულო პოლიტიკაში მკვეთრად გამოხატული ანტირუსული პოზიციით გამოირჩეოდა.

**მთი მოროზაძე**

# ფანი კაპლანი: ტერორისტი თუ განტევების ვაცი?



ფანი კაპლანი (ფეიგა როიტბლატი), ქალა-ტერორისტი;  
დაიბადა 1890 წლის 10 თებერვალს;  
1905 წლიდან მიემსრო ანარქისტებს;  
1917 წლიდან იზიარებდა ესერების (სოციალისტ-რევოლუციონერთა)  
პარტიის შეტეალებებს;  
დახვრიტეს 1918 წლის 3 სექტემბერს, 16 საათზე,  
სასამართლოს გარეშე.

— სახელი, გვარი, მამის სახელი...  
— კაპლანი, ფანი ეფიძეს ასეული.  
— გვარი კაპლანი მოგვიანებით  
აიღეთ, არა?  
— დიახ, ჩემი ნამდვილი გვარი  
რაიტბლანია.  
— პარტიულობა?  
— უპარტიო.  
— ლენინს რატომ ესროლეთ?  
— იმიტომ, რომ მან რევოლუციას  
უდალატა.

...ასეთი დიალოგი გაიმართა დაპატიმრუბულ ფანი კაპლანსა და ჩეკას გამომძიებელ ვიქტორ კინგისეპს შორის. რუსეთში კი ვნებები ბობოქერობდა. სოფნარკომმა (სახალხო კომისარების საბჭოთა — სოციალისტური რუსეთის მთავრობა) ოფიციალურად გამოაცხადა წითელი ტერორი. მიმდინარეობდა მასობრივი დაპატიმრებები და დახვრიტები. ავად სახსენებელი „ტროიკები“, რომლის შექმნასაც სტალინს მიაწერენ, ინტენსიურად მუშაობდნენ.

ვიქტორ კინგისეპს ლენინზე თავდასხმის გამოძიება შემთხვევით როდი დაავალეს. ეროვნებით ესტონელი და ესტონეთის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, კინგისეპი ტყავში ძრებოდა, რათა ლენინის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ცხადი იყო, რომ ბრესტის ზავი მაღლე გაუქმდებოდა და ესტონეთის გაბოლშევიკების საკითხიც დღის წესრიგში რეალურად დადგებოდა. კინგისეპს სურდა ესტონეთის „წითელი დიქტატორი“ გამხდარიყო, თუმცა ასეთივე სურვილი ბევრს ჰქონდა. მისთვის კველაზე საშიში უურნალისტი ანველტი გახლდათ. მას ზინოვიევა და კამენცვან ახლო ურთიერთობები ჰქონდა და მისი განეიტრალება მხოლოდ ლენინის კეთილგანწყობით იყო შესაძლებელი.

კინგისეპმა დაადგინა, რომ რუსეთში კარგად ორგანიზებული და განშტოებული იატაკ-ქვეშთი მოქმედებდა. მას სათვეში ედგნენ ინგლისელი შტეკრავი სიღნეი რეილი და ცნობილი ტერორისტი ბორის საფინკოვი. სახელმწიფო გადატრიალება დიდხანს და გულდასმით მშადებოდა.

სიდნეი რეილი ექსტრაკლასის პროფესი-

ონალი იყო. გადატრიალებასაც დიდი რუდუ-  
ნებით აშადებდა. კინგისებმა შეისწავლა დო-  
კუმენტები და დაადგინა, რომ ჩეკას თავ-  
მჯდომარე ძერუინსკის ამის თაობაზე ინფორ-  
მაცია ჰქონდა, თუმცა ძერუინსკიმ ვერ დაად-  
გინა, რა ძალები იყო შეთქმულთა განკარგუ-  
ლებაში, სად ჰქონდათ შტაბი, როდის შზად-  
დებოდა გამოსვლა. სამაგიეროდ გაირკვა, რომ  
რეილიმ ლატვიელ მსროლელთა რამდენიმე  
მეთაურის მოსყიდვა შეძლო. ძერუინსიმ სოვ-  
ნარკომის სხდომაზე საგანგებო განცხადება  
გააკეთა, გადატრიალება ახლოვდებაო. ამან  
ზინოვიევის აგრესიული რეაქცია გამოიწვია.



ვლადიმერ ლენინი

ზინოვიევიცა და კამენევიც ძერუინსკის გადა-  
ექენებას ესწრაფეოდებნ. ზინოვიევს ჩეკას თავ-  
მჯდომარის პოსტზე თავისი კანდიდატურა  
ჰყვდა — ურიცკი. ლენინი უფრო ძერუინსკის-  
კენ იხრებოდა, რაღანაც ფელიქს ედუქნდო-  
ვიჩი არც ერთ დაჯგუფებას არ განეკუთვნე-  
ბოდა. მისი ურიცკით ჩანაცვლებით ზინოვი-  
ევ-კამენევი ძალიან გაძლიერდებოდნენ, რაც  
ლენინის ძალაუფლებას ხელს შეუშლიდა.

ზინოვიევ-კამენევმა ძერუინსკის წინააღ-  
მდევ გააფირრებული ბრძოლა წამოიწყეს. სწო-  
რედ ამ დროს ამოტივტივდა ფანი კაპლანის

პერსონა. კინგისებმა დაადგინა, რომ ძერუინ-  
სკიმ ამ ქალის „დამუშავება“ ბრძანა.

რისთვის დასჭირდა ძერუინსკის კაპლანი,  
ეს უკვე ავადმყოფი მარტოხელა და ნახევრად  
ბრძა ქალი? — კინგისებმა ამ კითხვზე პასუ-  
ხი ვერ მიიღო.

კაპლანს ჩეკისტები უთვალთვალებდნენ.  
მოულოდნელად ქალის ცხოვრებაში ვიქტორ  
გორსკი გამოჩნდა. კაპლანი მას ახალგაზრდო-  
ბიდან იცნობდა. სწორედ ამ დროს ქწყობა მე-  
მარცხენე ესერთა ცნობილი ამბოხი, რომე-  
ლიც, როგორც ცნობილია, ჩაახშეს, მაგრამ  
ძერუინსკის ეს თანამდებობის დაკარგვის ფა-

სად დაუჯდა, რადგან ამბოხში მისი მოადგი-  
ლე ალექსანდროვიჩი იყო გარეული. ძერუინ-  
სკის ნაცვლად ჩეკას თავმჯდომარის მოვალე-  
ობის შესრულება მის პირველ მოადგილე ეკა  
ჰეტერსს დავალა.

### მემარცხენე მსარების ამბოხი...

კინგისებმა დოკუმენტები გულდასმით გა-  
აანალიზა. რეილი გამოსვლას ოთხი დღით  
გვიან გეგმავდა. კველაუერი მიუთითებდა,  
რომ ამბოხების უკან ჯინტრრუმულუციური ძა-  
ლები არ იდგნენ. ბლიუმინი, რომელმაც გერ-



ფანი კაპლანი კატორლიძან გათავისუფლებულ ქალებს შორის, 1917 წ.

მანიის ელჩი მირბახი მოკლა, არა მხოლოდ მემარცხენე ესერი, არამედ ჩეკისტიც იყო. ასე-ვე ჩეკისტი იყო პუტჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი პოპვიც. მემარცხენე ესერთა ერთ-ერთმა ლიდერმა სპირიდონოვამ დაკითხვისას განაცხადა, გადატრიალების შესახებ არაფერი ვიცოდიო. კინგისებმა ფაქტები გადაამოწმა. სპირიდონოვა სიმართლეს ამბობდა. გამოდის, ალექსანდროვიჩი ასეთ ავანტიურაზე შევნებულად წავიდა? ამ მასშტაბის ავანტიურისტი ის ნამდვილად არ იყო. კინგისებმაც კიდევ ერთ ხელ გადაართვალიერა ალექსანდროვიჩის დაკითხვის ოქმები (თავად ალექსანდროვიჩი უკვე დახვრუტილი იყო). გამოძიების მასალებიდან ჩანდა, რომ ალექსანდროვიჩს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ესტონელ კომუნისტ რანდალასთან, ის კი იაკობ სვერდლოვის აპარატში მუშაობდა. რანდალა რამდენიმეჯერ შეხვდა ძერუინსკის მოადგილე პეტერსსაც.

რუსეთში მოქმედ ესტონეთის კომპარტიის ხელმძღვანელობას უტყუარი ინფორმაციის წყაროები ჰქონდა. გამორნაკლისი არც კინგისები იყო. მანაც დაადგინა, რომ ალექსან-

დროვიჩს შეიარაღებული ავანტიურისკენ პირადად სვერდლოვმა უბიძგა. თუმცა როგორც კი პუტჩი დაიწყო, სვერდლოვი განხე გადგა. მემარცხენე ესერების გამოსვლით ორი კურდღელი დაიჭირეს: სცენიდან ჩამოვიდნენ როგორც მემარცხენე ესერები, ისე ძერუინსკიც. ის ამ პოსტზე პეტერსმა შეცვალა, რომელსაც სვერდლოვი ნდობით ეკიდებოდა. კაპლანი? რა როლს ასრულებდა მთელ ამ ინტრიგებში კაპლანი? რატომ, რა მიზნით მიმდინარეობდა მასზე თვალთვალი? კინგისებმა ამოიხსრა.

— კაპლანთან ადამიანური კონტაქტია საჭირო, სხვანაირად ეს ქალი ენას არ ამოიდგამს. კაპლანს კი ბევრი საინტერესოს თქმა შეუძლია.

### არჩევას შუდამ ე ვაკეთება!

კინგისების ბრძანებით კაპლანი ექიმებმა გასინჯეს. ფსიქიატრის დასკვნა ცალსახა იყო: გაუწონასწორებელი, გააჩნია აკვიატებული იდეები და თავის გამოჩენის სურვილი, თუმცა შეურაცხადი არ არის და თავის საქციელზეც

პასუხეს აგებს. თვალის ექიმმა კი განაცხადა, ნახევრად ბრძანაო. კინგისები ჩაფიქრდა: მაშ როგორ მოხდა, რომ მან ლენინს ესროლა და მიზანშიც გაარტყა? კინგისებმა კაპლანი გამოიძახა.

— ფანი ეფიმოვნა, დავითიწყოთ, რომ თქვენ ტუსადი ხართ, მე კი გამომძიებელი. უბრალოდ, ადამიანურად ვისაუბროთ. ოქმსაც კი არ ჩავწერ...

— ჩეკას გამომძიებელთან ადამიანურად საუბარი ცოტა მნელია, — კაპლანმა დამცინავად გაიღიამა, — თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანები არ ხართ.

— შეურაც ხელფს რად მაჟენბო? მე რევოლუციონერი ვარ, მწმს, რომ კეთილშობილ საქმეს ვემსახურები...

— თქვენ რევოლუციონერი ხართ?

— დიახ, თუდაპირველად ანარქისტებს თანავეგრძნობდი, შემდეგ დაურწმუნდი, რომ სიმართლე ბოლშევიკების მხარესაა. ერთა მანდარმების დევნაც განვიცადე და ციხის კედლებიც გვრიანად მალესინეს.

კინგისები იღიმებოდა. კაპლანსაც კუშტი გამომეტყველება უმაღ გაუქრა. ნელ-ნელა მათ შორის ადამიანური ურთიერთობის ძაფე-ლენინის გამოსვლა მიზინგზე

ბი გაიძა. კაპლანი თავისი ცხოვრების შესახებ გულახდილად მოყვა. ებრაულ მრავალშვილიან რჯახში იზრდებოდა. შმობლები რელიგიური იყვნენ, ფანისაც რელიგიურად ზრდიდნენ. შემდეგ ანარქისტ გორსკის შეხვდა და ოფოთნაც ანარქისტი გახდა.

— გორსკი ძალაან გიყვარდათ? — თანაგრძობით შეეკითხა კინგისები.

— დიახ, — გაიღიმა კაპლანმა.

ტერორისტობა ფანიმ გორსკის გავლენით დაიწყო. კივის გენერალ-გუბერნატორს ბომბი სწორედ მან ესროლა, უფრო სწორად, ეს მხოლოდ სურვილი იყო. ბომბი ხელში აუფეთქდა და თვად კაპლანი დაზიანდა. მას აქეთა, რომ მხედველობა აღარ უვარგა. შემდეგ იყო კატორდა, ხანგრძლივი, მძიმე კატორდა. აქ მარია სპირიდონოვა გაიცნო და მისი გავლენით ესერი გახდა.

— გორსკის ხელმეორედ უკვე რევოლუციის შემდეგ შეხვდით, ასეა არა? — ღიმილით შეეკითხა კინგისება.

— ეს თქვენი საქმე არ არის! — იკილა კაპლანმა.

— აკი გითხარით, რომ უბრალოდ ადამიანურად ვსაუბრობთ, — კინგისებმა ჩაახევლა,





ველაძეს  
კონტრას ძე  
ძერფის ხე.  
1917 წლის 20  
დეკემბერს,  
ლენინის  
განარჩულებით  
დაუფლავა სსრკ  
(კონტრ-  
რევოლუციასა და  
საბორბაზოან  
პრძოლის  
სრულიად  
რუსეთის  
სავანებით  
ჯოშისა)

- ლენინზე თავდასხმა გორსკიძ გირჩიათ?
    - არა, გადაწყვეტილება თავად მივიღე.
    - პო მაგრამ რევოლუცირი ხომ გორსკიძ იშვია? — კინგისება იღიმებოდა.
    - ამას არ აქვს მნიშვნელობა.
    - ჩვენ ვიცით, რომ რევოლუცირი გორსკიძ იშვია.
    - გიმეორებთ, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ლენინს საკუთარი ინიციატივით ვესროლენ. გადაწყვეტილებებს მუდავ თავად ვიღებ!

სემნანი

კაპლანთან საუბრის შემდგე კინგისეპმა ფაქტები კვლავ გააანალიზა. ჩეკას ღოკუმენტებიდან ჩანდა, რომ ინგლისის ელჩი რუსეთში რობერტ ლუის ლოკარტი ჩეკას ფურადღების ქვეშ მოექცა. ეს თითქმის კაპლანის დამუშავების პარალელურად ხდებოდა. რატომ? ჩეკამ იცოდა, რომ გადატრიალებას ლოკარტი კი არა, რეილი ამზადებდა. ლოკარტმა ამის შესახებ იცოდა, რეილის ყოველნაირად ხელს უწყობდა. მთებედავად ამისა, მთავარი

მაინც რეილი იყო. მაშ რით დაიმსახურა ლოკარტმა გადაჭარბებული ყურადღება?

კინგისებმა იცოდა, რომ ლოკარტს ახლო  
ურთიერთობა პქნონდა ორ ლატვიელ ოფიცერ-  
თან, ბერზინთან და ვინძე შემიღებთან. მემარ-  
ცხენე ესერთა ამბოხს ჩახშობის შემდეგ ისი-  
ნი ინგლისის ელჩითან მივიღნენ და გადატრია-  
ლებაში დახმარება სთხოვეს. ლოკარტმა გა-  
ნაცხადა, რომ გადატრიალების მოწყობა დიპ-  
ლომატის კომპეტენციაში არ არის, ამიტომ  
გააცნობს კაცს, ვისაც ასეთი საკითხები ქვე-  
ბა. ელჩმაც ლატვიელები რეილის წარუდგი-  
ნა. იმავდროულად დაუწერა სარეკომენდაციო  
წერილი გენერალ პულინ, რომელიც არსან-  
გელს ჰმი გადმომსხვდარ ანტანტის დესანტს ს-  
მეთაურობდა. კინგისებმა იგრძნო, თუ როგორ  
აუქმნიდა გული.

— ბერზინი და შმიდპერი?

ესტონელი მეგობრების დახმარებით კინ-  
გისეპმა დააღვინა, რომ შმიდჰენის გვარს მიღ-  
მა ჩეკას აგენტი იან ბუკინის იმალებოდა. დად-  
გინდა ისიც, რომ ბუკინის ახლო ჭრითი

ბა პქონდა ერთ ანარქისტთან, რომელიც ასე-  
ვე ჩეკას საიდუმლო აგენტი გახლდათ. ეს კა-  
ცი ვიქტორ გორსკი აღმოჩნდა.

— ესაა თქვენი პირველი შეყვარუბული? —  
კინგისეპმა კაპლანს წინ გორსკის ფოტო და-  
უდო.

— რა დაემართა იაშკას?- ქალს ფერი ეც-  
ვალა.

— მას ვიქტორი პქვია და არა იაშკა.

— მოფერებით იაშკას ვეძახდი, — კაპლა-  
ნი გაფითორდა, — ისიც თქვენთანა?

— არა, გაგვეჩა.

— მართლა?

კაპლანმა ხმამალლა გაიცინა, თვალები  
ბეჭინიერებისგან უბრწყინავდა.

## პერშინსკი და კიხვისეპი

თანამედროვე რუს მკვლევართა ცნობით,  
ძერუინსკი-კინგისეპის შეხვედრის ინიციატო-  
რი „რკინის ფელიქსი“ იყო. შეხვედრაც მოს-  
კვში, ჩეკას ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინა-  
ზე შედგა.

— მსურს ახალი ამბები გითხრათ, — ცი-  
ვად წარმოთქვა ძერუინსკიმ, — ფანი კაპლანი  
დღეს დილით დახვრიტეს. ეს კრემლის კომენ-  
დანტმა მალკოვმა გააკეთა.

— ასეც ვიცოდი, — კინგისეპმა გაიღიმა.

— რა იცოდით?

— ის, რომ კაპლანს თქვენი ბრძანებით  
მოკლავდნენ.

— კიდევ რა იცოდით? — ძერუინსკის თვა-  
ლები ბრაზით აენთო.

— ის, რომ „თავდასხმა ლენინზე“ ოსტა-  
ტურად დადგმული სპექტაკლი იყო.

— ასევე, — ჩემად წარმოთქვა ძერუინსკიმ,  
— მოდი ყველაფერი თავიდან დაფიქტოთ.

— სიამოვნებით, — თავი დაუქნია კინგი-  
სკმა, — ზინოვიევ-კამენევი ჩეკას თავმჯდო-  
მარის პოსტზე თავიანთი კაცის, ურიციას გაყ-  
ვანას ცდილობდნენ. იაკობ სვერდლოვი კი თა-  
ვის თამაშს თამაშობდა, მას ძალაუფლება  
სურდა. მექანიკენე ესერთა აშბოხი პროორ-  
კაცია იყო! ამის უკან სვერდლოვი იდგა. შე-  
დეგად სკამი გამოგეცალათ. სვერდლოვმა  
იცოდა, რომ სპექტაკლს ამზადებდით, სპექ-  
ტაკლს, რომელსაც თქვენი პოზიციები უნდა  
განვიტკიცებინა! ფანი კაპლანის ფიგურაც  
ამიტომ ამოატივტივეთ. გაუწონასწორებული  
ეზალტირებული ქალი! თქვენ მას გორსკი



## გამომძიებული ვიქტორ კინგისეპი

მიუწინეთ, რათა „აუგდო“, თქვენ კი შეთქმუ-  
ლებას გახსნიდით.

— რაღაც არ გამოდის, — ცივად წარმოთ-  
ქვა ძერუინსკიმ, — კაპლანი ხომ მარტოხელა  
ტერორისტი იყო, არავისთან შეკრული არ  
გახლდათ.

— კაპლანს წინააღმდეგობის გაწევისას  
მოკლავდნენ, შემდეგ კი ლოკარტის ჯგუფს  
მიუერთებდნენ. ასეა არა? რეილის შეპყრო-  
ბა არსებულ ვითარებაში სათუოა. ლოკარტი  
კი დიპლომატია და არ იმაღება. ამიტომაც  
შეთქმულების მეთაურად სწორედ ის გამო-  
აცხადეთ.

— და მას ბუიკის მიუუგზავნე? — ძერუინ-  
სკის ხმაში დაუფარავი დაცონვა გამოკრთა.

— ეს პეტერისმა გააკეთა. ჩანს, თქვენს თა-  
მაშებში ჩახედული იყო და პიესაში კორუქ-  
ტივები შეიტანა. მისი სქემით, ლენინი უნდა  
მოგვდარიყო. შეთქმულების თვეკაც ლო-  
კარტს დააპატიმრებდნენ, სვერდლოვი კი  
რუსეთის სათავეში მოექცეოდა. საინტერე-



კაპლანის თავდასხმა საპტოთა მსატვრობის  
პოპულარული ფერი იყო. გ. ჩხელინი, „თავდასხმა  
ლენინშე“, 1927 წ.



გ. ბელოუსევი, „თავდასხმა ლენინშე“, 1957 წ.



გ. გლეხნივი, „ლენინი და მუშები.  
თავდასხმა“. 1967 წ.

სოა, ზინოვიევ-კამენევმა ამის თაობაზე იცოდნენ?

— ამას არ აქვს მნიშვნელობა! — ძერუინ-სკის ხმა გამჟინავად ჟღერდა, — მთავარი ისაა, რომ ლენინი გადარჩა! პარტიის ნდობა ჩემ-დამი იმდენად ძლიერი იყო, რომ ტერაქტამ-დე ცოტა ხნით ადრე ჩეკას თავმჯდომარის პოსტზე აღმაღვინეს. ეველაფერიც ისე დამ-თავრდა, როგორც დამთავრდა.

— დიახ, კაპლანი მკვდარია, ლოკარტი და-აპატიმრეს, უამრავი შეთქმულიც შევიპყრით. რაც მთავარია, წითელი ტერორი გამოცხად-და. ასეთ ვითარებაში ჩეკას რეორგანიზაცია-ზე კრიიტისაც ვერავინ დაძრავს.

— ანუ გინდათ მითხრათ, რომ ყოველივე ჩემ მიერ დადგმული სპექტაკლია?!- ძერუინ-სის თვალები აენთო.

— ევ არ მითქვამს, — შშვიდად მიუგო კინ-გისეპმა, — მხოლოდ იმისი კონსტატაცია მო-ვახდინე, რომ ოქვენ გაიმარჯვეთ.

— იმედია, კეთილგონიერებას გამოიჩინთ, — ძერუინსკიმ ამ სიტყვებს ხაზი განსაკუთ-რებით გაუსვა, — მალე ესტონეთის განთავი-სუფლების საკითხი დადგება, ჩემი მხარდა-ჭერაც დაგჭირდებათ, ისე როგორც ამხანგ ლენინისა!

— რა ოქმა უნდა, — ჩუმად წარმოთქვა კინ-გისეპმა.

## ბევრის ცოდნა მართლაც სამიზანი...

ამ საუბრიდან მცირე ხნის შემდეგ სეერ-დლოუ უეცრად გარდაიცვალა. ის ზარ-ზეიმით დაკრძალეს. შემდგომში მისი სახელი ქალაქ-საც დაერქეა. რაც შექება გორსკის, ის გაქრა. ვიქტორ კინგისეპის ოცნებას, ესტონეთის დიქ-ტატორი გამხდარიყო, ასრულება არ ქვერა. როგორც ცნობილია, ესტონელმა ხალხმა ბოლშვიჩმი უარყო და დამოუკიდებლობის გზა აირჩია. კინგისეპი, რომელიც ესტონეთში არა-ლეგალური მუშაობისთვის დარჩა, შეიძყრეს და დახერიტეს. 1927 წელს რუსეთიდან დასავლეთში გაქცეულმა ჩეკას აგენტმა ოპერატურმა პრესასთან განაცხადა, — კინგისეპის ჩავარდნას ხელი ძერუინსკიმ შეუწყო, რადგანაც ესტო-ნელმა მეტისმეტად ბევრი იცოდაო.

უელიქს ძერუინის 1925 წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ეკაბ პეტერსი 1937 წელს დახვრიტეს. რაც შექება ლოკარტს, ის

საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად გაათვისეულეს. ინგლისში დაბრუნებულმა ლოკარტმა ფრიად საინტერესო მემუარები გამოაქვეყნა. რუსეთში კი ლოკარტი დაუსწრებლად მაინც გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

## ესროლა თუ არა გაპლანეა ლენინს?

კაპლანზე ცხარე დისკუსიები წლების განმავლობაში გრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც ლენინზე თავდასხმასთან დაკავშირებით უამრავი საიდუმლო მასალა გამოქვეყნდა, აღარავინ დაობდა, რომ ეს უბედური ქალი ჩეგისტებმა გამოიყენეს.

— ძერუინსკიმ საგანგებოდ აირჩია კაპლანი, რადგანაც იცოდა, რომ ნახევრად ბრძანი იყო. მისი ნასროლით ლენინი დაიჭრა, მაგრამ არ მოკვდარა. ძერუინსკიმ მიზანს მიაღწია. მან ჩეკას რეორგანიზაცია თავიდან აიცდინა და თანმდებობა შეინარჩუნა, — ამბობდნენ ერთნი.

სხვები ამას არ ეთანხმებოდნენ. რამდენიმე ავტორი ტეტული რუსი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ გორსკის მიერ წაქეზებული და შეიარაღებული კაპლანი მიხელსონის ქარხნის ეზოსკენ მართლაც გაემართა. როგორც ცნობილია, აქ მიმდინარეობდა მიტნები, სადაც ლენინმა სიტყვა წარმოთქვა. კაპლანს ნამდვილი პროვოკატორები უნდა დაეფარა. მან მართლაც გაისროლა, თუმცა ლენინს მისი არც ერთი ტყვია არ მოხვედრია. ბოლშვიკების ბელადს სრულიად სხვა ადამიანმა ესროლა, რომელიც ძერუინსკისთვის მუშაობდა და რომლის მიზანი ლენინის მხოლოდ დაჭრა იყო.

დისკუსიას წერტილი 2002 წელს დაესგა. ამ დროს ვლადიმირ პუტინის ინიციატივით ექსპერტიზა მოწყო. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ იმ ადგილიდან, სადაც ოქმის თანახმად კაპლანი იდგა, შეუძლებელი იყო ლენინისთვის ტყვიის მხარში მორტყმა. ტყვიის ტრაექტორიიდან გამომდინარე, ადამიანი, რომელმაც სინამდვილეში დაჭრა ლენინი, სპილისპირო მხარეს იდგა. შესაძლო კაპლანმა მართლაც გაისროლა, მაგრამ მისი არც ერთი ტყვია ლენინს არ მოხვედრია. დიქტატორი სხვა ადამიანმა დაჭრა. კონკრეტულად ვინ? დღეს ამისი გარევა შეუძლებელია.

**ნიკა თევზაპი**



კადრები საბჭოთა კიონფილმიდან „ლენინი 1918 წელს“, რუსეთის მიხაილ რომი



თავდასხმის შემდეგ ლენინის ჯანმრთელობა საცრძობოდად დაუარესდა





# ბლუა საფრანგეთის მაფიათა სახი

საფრანგეთში, ლუარას დაბლობში მდებარე ციხე-დარბაზ ბლუას თვალისწირებული აგებული ნაწილი XIII საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო უკანასკნელი, სამხრეთ-დასავლეთით ძიშნებული ფლიგელი 1635 წელს გაჩნდა. ბლუა თვალნათლივ აჩვენებს, როგორ იცვლებოდა ფრანგული აქტიტექტურა ზუთი საუკუნის განმვლობაში.

ციხე-დარბაზი გრაფმა ბლუამ XIII საუკუნეში ააშენა. მისგან დღეს შემორჩენილია ჭიშკარი დიუ-ფუა, საიდანაც ძეველ ქალაქშე შესანიშნავი ხედი იშლება, ასევე კუთხის შენობა „გენერალური შტატების“ დარბაზით ამ თაღედებიან და სევტებიან უზარმაზარ დარბაზის სახელი ჰქინის III-ს დროს ეწოდა, როცა აქ მეფისგან პროტესტანტული რელიგიის აკრძალვის მოთხოვნით 1576 და 1588 წლებში ე.წ. გენერალური შტატები შეიკრიბა.

როცა ლუდოვიკ XII მეფედ ეკურთხა 1498 წელს, თავის რეზიდენციად ბლუა აირჩია. სწორედ აქ დაიბადა იგი 1462 წელს და ციხე-დარბაზიც მეტყვიდრეობით მიიღო. მან მაშინვე ააგებინა გვაინგოტიკური სტილის ორსართულიანი ფლიგელი, თუმცა ამჟამად შიდა ეზოსკნ

მიმავალი თაღოვანი პორტალის თავზე, ცხენზე ამხედრებული ლუდოვიკ XII-ის ქანდაკების ნაცვლად, სკულპტორ შარლ სერას გამოქანდაკებული მხედარი (1857) იწონებს თავს. ძველი ნაკეთობა კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გადმოაგდეს.

შიდა ქოში გამოიჩინა სხვადასხვა ფორმის მქონე ხვეულკიბებიანი კუთხის კოშკი, ასევე პერგოლა (თაღებიანი დეკორატიული მსუბუქი ნაგებობა, გამწყანებული ხვიარა მცენარეებით), რომელიც ერთმანეთთან აერთებს აგურითა და ბუნებრივი ქვით ნაგებ ფლიგელს სენ-კალეს კაპელასთან, და რომელიც ასევე ლუდოვიკ XII-ის დროს აიგო. ოდესდაც კაპელას ერთვოდა ნეფი, რომლის ადგილზეც XVII საუკუნეში გასტონ ორლეანელის ფლი-

გელი აშენდა. ასე რომ, 1508 წელს ნაკურთხი ეკლესიისგან მხოლოდ ყველაზე ვიწრო დარბაზი დარჩა. მაქს ინგრანის ვიტრაჟები კი (1957) ბლუას ისტორიის ეპიზოდებს ასახავს.

ლუდოვიკ XII-ის ფლიგელში ნატიფი ხელოვნების მუზეუმია განთავსებული, სადაც თავმოყრილია XVII-XIX საუკუნეების სურათები, გობელენები, და კარტფანჯრების დეკორირებული წირთხლები. ბლუას ისტორიის მოძღვნო გვერდები კი ფრანცისკ I-ს უკავშირდება, რომელმაც ლუდოვიკ XII-ის ასულზე იქორწინა და მეფის სიკედილის შემდეგ, 1515 წელს ტახტიც დაიკავა. მან ციხედარბაზის ჩრდილო-დასავლეთი ფრთის შენებლობა წამოიწყო, რომელმაც თითქმის უცვლელად მრაღწია დღვმდე. მთუხედავად იმისა, რომ ლუდოვიკისა და ფრანცისკის ნაგებობებს მხოლოდ 15 წელიწადი აშორებს, კონტრასტი გასაოცარია — გვიანგოტიკური სტილი მთლიანად რენესანსმა ჩაანაცვლა.

გადაკეთებულ და ახალ ნაგებობებში მოექცა შუა საუკუნეების ციხესიმაგრის კედლის ნაშთები, რომლის ერთი მხარე ეზოსკნაა მიქცევული, მეორე კი — ქალაქისკნ. ამჟამად ის ბლუას ერთ-ერთ ნაგებობას ყოფს. ეზოსკნ მიქცევული შენობები უფრო აღრულია, მათი



ლუდოვიკ XII-ის ქანდაკება

ციხე-დარბაზიდან ძევს ქალაქზე შესანიშნავი ხედი იშლება






ღია კიბის კოშკიდან ხელები შიდა ეზოში იმპუძა



ღუდოვისას და  
ფრანგისკის  
ნაგებობებს მხოლოდ 15  
წელიწადი აშორებს,  
კონტრასტი  
გასოცარია —  
რენესანსი  
გვიანგოტიქური სტილი  
მთლიანად ჩანაცვლა  
(მარც ხნიდან მარჯვნივ)



სამეფო ტახტი



ფასადები უნიფიცირებულია: მათ ამშვენებს პილასტრები, შემჭიბილია იტალიური დეკორით და სრულდება ფილიგრანული კარნაზებითა და ლუკარნებით (სარკმლის ღიობი სხვენის სახურავსა და გუმბათოვან გადახურვაში), რაც ერთდროულად ქმნის სიმსუბუქებისა და ინტიმურობის შეგრძნებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ღია კიბის კოშკი.

ამ მეტად თამამმა არქიტექტურულმა გადაწყვეტამ ერთდროულად რამდენიმე ამოცანა შეასრულა: კოშკი ამშვენებს ფასადს და რაკი ეზოსკენაა მიმართული, აეროებს ფლიგელის საბ სართულს. ამასთან, შესაძლოა შეასრულოს ტრიბუნის დანიშნულებაც ციხე-დარბაზის ქზოში გამართულ წარმოდგენათა დროს.

ფრანცისკ I მიიჩნევდა, რომ ფლიგელი არა-საგმარისად ვრცელი და ლამაზია, ამიტომ ბრძანა, წრიული კედლის გარეთ მხრიდან მიეშვებინათ ნაგებობა ლოჯიებიანი ფასადითა და ღია გალერეით ზემო სართულზე. ლოჯიების, აფნებისა და პილასტრების შესაჩნევი არარგულარულობა და სხვადასხვა ზომა, ასევე შესამკბი ელემენტებისა და სამეფო გერბების სიჭარბე ბლუას აქცვეს ნაგებობად, რომელსაც წარმომადგენლობითი დანიშნულებაც აქვს.

XVII საუკუნეში ბლუა ლუდოვიკო XIII-ის ძმამ, გასტონ ორლეანელმა ე.წ. აპანაშის (საფრანგეთსა და ვეროპის სხვ ქვეყნებში საუფლისწულო, რომელიც ეძლეოდათ სამეფო ოჯახის უგვირგვინო წევრებს) სახით მიიღო. გასტონ ორლეანელმა არქიტექტორ ფრანსუა მანსარს უხმო და დააგალა ახალი ციხე-დარბაზის აგება, რისთვისაც ძველი შენობები უნდა დანგრეულიყოთ. თუმცა სახსრების უკმარისობის გამო ამ გეგმაზე უარის თქმა მოუხდათ. ასე გაჩნდა 1635-1638 წლებში ბლუას სამხრეთ-დასავლეთი ფრთა, რისთვისაც მხოლოდ ის ნაწილი დაანგრიეს, რაც ახალი შენობის აშენებას უშლიდა ხელს.

არქიტექტორ მანსარის აგებული ახალი სამსართულიანი შენობა ფრანგული კლასიკიზმის სტილშია გადაწყვეტილი. ის სიძეტრიულია, პავილიონით ცენტრში, კუთხებში ფასადის რამდენადმე წინ გამოწეული ნაწილებითა და ეზოში გამომავალი მოკლე ფლიგელებით. ფასადი მკაფიოდაა სტრუქტურირებული სვეტებით, სხვა შესამკობი ელემენტებისგან კი არქიტექტორმა თავი შეიკავა.

ოთახების შიდა მოწყობაც სახსრების უკ-





საბეჭო დარბაზი



სამეფო საძინებელი, პენინის IV-ის მონოგრამებით

კლაუსინი. დამზადებულია 1572 წელს



მარისობის გამო არ დასრულებულა, ხოლო კიბე მხოლოდ 1932 წელს მიაშენეს.

ონორე დე ბალზაკი რომანში „ეკატერინე მედიჩი“ დაწვრილებით აღწერს ბლუას ციხე-დარბაზის კოშკს ხვეული კიბით: „ეს თავბრუ-დამხვევი ქმნილება გენიალური და საოცრად ნატიფი დეტალებით, რაც ქვას ამეტყველების საშუალებას აძლევს, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ სპილოს ძვალზე ნაკვეთ ჩუქურთმიან ჩინურ ნაკოთობებს. ქვა აქ თითქოს გრეხილ აბრეჭუმშია გახვეული, ყვავილების, ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებიანი ქანდაკებები კოშკის წახნაგებს მიუყვება ზემოთკენ, საფეხურიდან საფეხურამდე სულ უფრო მრავ-ლდება და ყოველივეს აგვირგვინებს თაღის ცენტრალური ქვა. სწორედ ამ ქვით დაამარცხა XVI საუკუნის ქანდაკების ხელოვნებამ ხეზე კვეთის გულუბრევილო ოსტატები, რომლებიც თხუთმეტი წლის წინ ლუდოვიკ XII-ის სასახლის კიბეების თჯზე თაღის ცენტრალურ ქვას აფორმებდნენ“.

**მოამზადა რამაზ გურგენიძემ**

ცისქურდარბაზის  
გარე ფასადი



ღია კიბის ჭოშე



კიბის ჭოშეს თაღი





**მთიანი ყარაპალი**

## **სამხედრო რიცხვი**

XX საუკუნის 90-იანი წლების გეოპოლიტიკურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს შეძლვომ განვითარებაზე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის სახელმწიფოებრიობის შენება გაცილებით როგორიც აღმოჩნდა, ვიდრე მათ პოლიტიკურ ღიღერებს წარმოედგინათ ავონიაში მყოფმა საბჭოთა ხელისუფლებამ მისდამი არაალიალურად განწყობალ ქვეყნებში წარსულში ჩადგენელი ნაგების ამოქმედება დაიწყო. კავშირის დაშლის შემდეგ რუსთანის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კავკასიაზე კონტროლის შენარჩუნება. სწორედ ამ მიზნით მოხდა კონფლიქტების პროცესირება სამხრეთ ოსმალის ავტონომიურ ოლქება და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. თუმცა კავკასიაში გაჩაღდა კიდვე ერთი და ჩვენი აზრით ყველაზე როგორ დაპირისპირება — ომი მთან ყარაბაღში.

მთანი ყარაბაღი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიური ოლქის სტატუსით შედიოდა. პროვინციის აზერბაიჯანის შემადგენლობაში შესვლა მნიშვნელოვანად განაპირობა გასტაციური საუკუნის 20-იან წლებში კავკასიის ოკუპაციაში ამ ქვეყნის თანამშრომლობამ ბოლშვიკურ ძალებთან. სწორედ აზერბაიჯანი აქციეს ბოლშვიკებმა პლაციდარმად საქართველოსა და სომხეთის ოკუპაციისას. თვით ტოპონიმი „ფარაბაღი“ თურქული წარმოშობისაა და ითარ-

გმნება როგორც „შავი ბაღი“. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხები იმავდროულად „არწახს“ უწოდებენ.

90-იან წლებში აზერბაიჯანი აღარ ითვლებოდა საიმედო ძალად რუსებისთვის. ამ დღოისთვის რუსეთის მთავრი მოკავშირის სტატუსი სამხრეთ კავკასიაში სომხეთმა შეიძინა. სწორედ ამიტომ, მან კარგად გამოიყენა მთანი ყარაბაღის ფაქტორი. აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ოლქი, რომელიც ძირითადად სომხებით იყო

დასახლებული, იდეალურ პირობებს ქმნიდა ეთნიკური კონფლიქტის გასაღვიუებლად. მით უმეტეს, რომ ამ დაპირისპირების საკმაოდ მკვეთრი ნიშნები იგრძნობოდა საბჭოთა კავშირის შექმნამდეც და მისი არსებობის ბოლო წლებშიც. ყველაზე გახმაურებული მოვლენა გახდათ 1988 წლის 26 ოქტომბერის სუმგაითის ტრაგედია, რომელმაც მრავალი ეთნიკური სომხის სიცოცხლე შეიწირა.

ყარაბაღის ომში მთავარ მოთამაშედ რუსეთი მოგვევლინა, რომელმაც სომხერ მხარეს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა. შედეგად სომხეთი ომში გამარჯვებულად მოგვილინა.

წლების განმავლობაში კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდა. სომხეთის სახელმწიფომ გველაფერი გააკეთა მთიანი ყარაბაღის ერთიან სომხერ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციისთვის. დღეისთვის ყარაბაღის დამოუკიდებლობა, თუნდაც დე ფაქტო სახით, მხოლოდ ფიქცია და ის წარმოიდგენს სომხეთის რიგით (შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან) პროექტისას, რომელიც იურიდიულად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. მთიან ყარაბაღს აქვს საკუთარი სიმბოლიკა. მისი დროშა მთლიანად სომხეთის დროში მიხედვითაა შექმნილი და მისგან მხოლოდ ერთი დეტალი გნასხვავებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსიონს არ გააჩნია პირდაპირი საზღვარი სომხეთის რესპუბლიკასთან. დღეისთვის ეს პრობლემა სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის სეპარატისტულ მთავრობებს ნაკლებ აღელვებთ, რადგან სომხეთის არმიას ოკუპირებული აქვს აზერბაიჯანის ტერიტორიის 9% ყარაბაღის საზღვრებს გარეთ. თუმცა არც აზერბაიჯანული მხარეა ბერკეტების გარეშე: ყარაბაღის შიგნით ის მთლიანად აკონტროლებს შაუმიანის რაიონს, ასევე მარტაკეტისა და მარტუნის რაიონების აღმოსავლეთ ნაწილებს.

წლების განმავლობაში დაკონსერვებული კონფლიქტის გარშემო მოლაპარაკების პროცესი განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გააქტიურდა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმების დე იურე აღიარებამ იგთვე ამბიცია ყარაბაღის სეპარატისტულ მთავრობასაც გაუჩინა. თუმცა მოსკოვი ამ ნაბიჯის გა-



გარაბაღის ომის ქრონიკა





საომარი დროის ტრანსპორტი

დადგმას არჩევნობს. ყარაბაღის კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარუბის მცდელობა იყო თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიულის ვიზიტი სომხეთში, ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრის დროს. გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ყარაბაღის საკითხზე დათომიანათა სანაცვლოდ, თურქეთი მშადეოფნას აცხადებდა საზღვრების გახსნასა და სომხეთთან საკაჭო ურთიერთობის დაწყებაზე. თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, სომხეთმა ამ საკითხის ირგვლივ ყოველგვარ დათომიანზე უარი განაცხადა.

ბენებრივია, მთიანი ყარაბაღის შესახებ ყოველგვარი მოლაპარაკება წარმოუდგენელია რუსეთის ფედერაციის გარეშე. პირველი რიგში ეს სომხეთის მთავრობის მკეთრად გამოხატული პრორუსული ორიენტაციითა გამოწვეული. ამავე დროს, სომხეთის, ფაქტობრივად, რუსეთის ვალი აქვს, ყარაბაღის ომის დროს გაწეული დახმარების გამო, რასაც გვირდს ვერ აუქცევს.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის საომარი რიტორიკის ფონზე, რომელმაც არაერთხელ გა-

ნაცხადა, რომ დიპლომატიური რესურსების ამოწურვის შემდეგ აზერბაიჯანი არ მოერიდება თავისი ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი მეთოდებით აღდგენას, მნიშვნელოვანი იყო 2 ნოემბრის მოლაპარაკებები მოსკოვში. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დამიტრი მედვედევის შუამაგლობით ხელი მოწერა ხელშეკრულებას აზერბაიჯანის რესუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევსა და სომხეთის რუსპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი სარგებელის შორის, რომლის მიხედვითაც მხარეებმა უარი განაცხადეს კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებაზე. თუმცა ეს შეთანხმება კონფლიქტის დიდი ხნით შეწერების გარანტიას არ იძლევა. ორი წლის შემდეგ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა \$800 მილიონის დირებულების შეიარაღება გადასცა სომხეთს და ამ ქვეყანაში ახალი სამსედრო ბაზის შენებლობისთვის მშადება დაიწყო. ამ ფაქტების გამო რუსეთის, როგორც შეამავლის როლი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამავე დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა განცხადება: „დიპლომატიური წარმატებები ჩვენ, რა თქმა უნდა, გვა-



შესკვერება სანგრებში

ხარებს. მაგრამ თუ ჩვენი მიწები კვლავინდევ-ბურად ოკუპირებულია, ეს ნიშნავს, რომ ამ შე-დევებს არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა. მათ ექნებათ პრინციპული მნიშვნელობა მაშინ, როცა აზერბაიჯანელები განთავსუფლებიან საოკუპაციო ძალებისგან და ჩვენი თანამედრეობის მშობლიურ კერას დაუბრუნდებიან. ისინი უნდა დაბრუნდნენ ოკუპირებულ მიწებზე, ტერიტორიიზე მთავარი ყარაბაღის გარშემო და საკუთრივ მთავარიანობაში... მსურს კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ სამხედრო პოტენციალის ზრდა ომის ავტომატურ განახლებას არ ნიშნავს. ეს უკანასკნელი ვარიანტია. ჩვენ შზად უნდა ვიყოთ ამისთვის”.

დიპლომატიური გზების ამოწურვის შემდევ ახალი ომის გაჩადების საფრთხე სავსებით რეალურია. როგორ გავლენას იქონიებს რეგიონში სიტუაციის გამწვება საქართველოშე? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან ახლოს გადის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სამი მილსადენი: ბაქო-თბილისი-ერზრუმის

გაზსადენი. მნელი სათქმელია, რამდენად გა-მოიყნებს სომხერი მხარე ამ მილსადენების დაბომბვის შესაძლებლობას. აქ პირველ რიგში სომხეთის საქართველოზე ეკონომიკური დამოკიდებულების ფაქტორია გასათვალისწინებელი, რის გამოც სავარაუდოა, ასეთ რადიკალურ ქმედებებს სომხეთი მოერიდოს. თუ სომხერი არმია ზანს მიაყენებს მილსადენების აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალ ნაწილს, ეს პირდაპირი დარტყმა იქნება ქართულ ეკონომიკაზე. ამის საბასუხოდ საქართველოს შეუძლია ჩაკეტოს სარკინიგზო და საპარო მიმოსვლა, აგრეთვე რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთში გამავალი გაზსადენი. ეს გამოიწვევს ქვეყნის მოქცევას სახმელეთო იზოლაციაში. ასეთ შემთხვევაში ღია საზღვარი სომხეთის მხოლოდ ირანთან რჩება, რომელიც აზერბაიჯანის პარტნიორია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ვიყარაუდოთ, რომ ირანი შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ ჩაერევა — დამოუკიდებლად იმისგან, რომ ბოლო დროს ბაქოსა და თეირანს შორის ურთიერთობები საკმაოდ გაცივდა. თუმცა თუ ირანისა და რუსეთის მჭიდრო სამხედრო ურთიერთობებს გავითვალისწინებთ,

მაის თეორიული შესაძლებლობა მაინც რჩება. მხოლოდ თეორიული, რადგან თუ ირანი კონფლიქტში ღიად დაუჭრს მხარს სომხეთს, აზერბაიჯანი დაღვება ნახტვნის ავტონომური რესპუბლიკის დაკარგვის საფრთხის წინაშე, რომელსაც ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან უშუალო სახმელეთო საზღვარი არ აქვს და თითქმის მთლიანად ირანული და სომხური ტერიტორიებითა შემოსაზღვრული (თუ არ ჩავთვლით თურქეთიან არსებულ 9-კილომეტრიან სახმელეთო ზოლს). ვითარების ასეთი შემობრუნება ავტომატურად გამოიწვევს დაპირისპირებაში თურქეთის უშუალო ჩარევას, რაც ასევე ავტომატურად ნატოს ჩარევასაც ნიშნავს. ამის მოლლოდინი გაჩნდება მილსადენების დაბომბვის შემთხვევაშიც... მოვლენათა ამგვარი მასშტაბური სცენარით განვითარების ალბათობა არსებობს, თუმცა მაინც ძნელად საკარაულოა.

რამდენად რეალურია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა უახლოეს მომავალში? არსებობს რამდენიმე სცენარი. აზერბაიჯანული შხარე ყარაბაღის მომავალს ხედავს ფართო კულტურული და პოლიტიკური ავტონომიის ფორმით ერთიანი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამას ხელს უქმდის სომხეთი და თბილ სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობაც არ უკურნებს ლოიალურად. არ უნდა დაგვაციწვდეს რუსეთის ფაქტორი, რომელიც ასეთ შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ორივე სახელმწიფოს მართვის სადაცმებს.

სხვა გარიანტია რეგიონისთვის დამტკიცი-  
დებლობის მინიჭება და ამ ფაქტის სურთა-  
შორისო დონეზე აღიარება. თუ დაუშვებთ,  
რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას აზერბა-  
იჯანი დაეთანხმა, ნათლად დაყინახავთ, რომ  
ეს პირველ რიგში მთიანი ყარაბაღის ინტე-  
რესებში არ შედის. მიზეზი მარტივია. რეგიო-  
ნს არ აქვს საზღვარი სომხეთთან. აზერბაი-  
ჯანის მხრიდან ყარაბაღის აღიარების შემ-  
თხვევაში, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი  
ყარაბაღს გარეთ აზერბაიჯანის ტერიტორი-  
ებიდან სომხეთი სამხედრო შენაერთების გაყ-  
ვანის შესახებ. დაბეჯითებით შეიძლება ით-  
ქვას, რომ აზერბაიჯანი არ დათანხმდება ვიწ-  
რო დერუფნის შექმნასაც, რომელიც ახალ-  
შექმნილ სახელმწიფოს სომხეთთან დააკავ-  
შიორებს. თოხო მხრიდან აზერბაიჯანული ტე-



სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები

რიტორიებით გარშემორტყმული ყარაბაღი,  
უბრალოდ, ვერ იარსებებს.

სომების საზოგადოების უდიდესი ნაწილი და  
სახელისუფლებო წრეები რეგიონის მოძალუს  
სრულიად სხვანაირად ხდავენ. მათი აზრით,  
უნდა მოხდეს ყარაბაღის დამტკიცდებლობის  
ცნობა საერთოშორისო დონეზე და უკვე აღი-  
არქებულ სახელმწიფოში უნდა მოქმედოს რე-  
ფერენციუმი, სადაც დაისტება შეკითხვა:  
„გსურთ თუ არა მთიანი ყარაბაღის შესვლა  
სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში?“  
მათი ვარაუდით (რაც რეალობასთან საქა-  
ონო ახლოს დგას) ამ კითხვას დადებითი პასუ-  
ხი გაცემა. თუმცა ამ შემთხვევაშიც დიად რჩე-  
ბა უმნიშვნელოვანესი საკითხი — როგორ  
წარმოიქმნათ მათ სომხური პროვინცია



აზერბაიჯანის სრული სახმელეთო იზოლაციის პირობებში?

რუსეთი, პერიოდული სკანდალების მიუხედავად, ერთადერთ რეალურ შუამავლად რჩე-

ბა მოდავე მხარეთა შორის და მისთვის კონფლიქტის არსებულ მდგომარეობაში დაკონსერვება იდეალური ვარიანტია საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგე, მისმა  
სამართლებრივი ძალები, რუსეთის ფედერაცია-  
ამ თავისი გავლენის შენარჩუნების გზად  
პოსტსაბჭოთა სიგრცეში სეპარატისტულ კე-  
რათა გაღვივება აირჩია. ამ მიზნით მან კონ-  
ფლიქტები გააჩადა დნესტრისპირეთში (მოლ-  
დავეთი), სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მაგ-  
რამ ამ შემთხვევებში რუსეთმა ერთმანეთს ერ-  
თი ქვეყნის შიგნით მცხოვრები ხალხები წაპ-  
კიდა და ეონიკური უცირუსობები ერთიან სა-  
ხელმწიფოს დაუპირისპირია. მთანი ყარაბა-  
ღის შემთხვევაში კი დაპირისპირებულ მხარე-  
ებად საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარ-  
მოქმნილი ორი დამოუკიდებელი სახელმწი-  
ფო აქცია. ერთ-ერთის შხარდაჭერით მან ორი  
კურდღელი ერთად დაიჭირა.

სომხეთია დაამყარა კონტროლი მთიან გა-  
რაბაღზე და მის გარშემო არსებული აზერბაი-  
ჯანული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილ-  
ზე. ამით სახელმწიფომ შეიქმნა გამარჯვებუ-  
ლის იმიგვი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწო-  
რედ ეს გამარჯვება იქცა სომხეთის შემდგომი  
განვითარების შემაფერხებულ ფაქტორად. სა-  
კუთარი გამარჯვების ტყვევობაში აღმოჩენილი  
სომხეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად და-  
მოკიდებული გახდა რუსეთის ფედერაციაზე. ამ  
გავლენისაგან თავის დაღწევას კი დღემდე ვრ  
ახერხებს. აზერბაიჯანმა დაკარგა ტერიტორიუ-  
ლი მთლიანობა, რაც რუსეთისთვის ამ ქვეყანას-  
თან პოლიტიკური ფაქტორის საგნად იქცა. აზერ-  
ბაიჯანთან დაკავშირებით რუსეთი მუდმივად საქ-  
ეულირებს გარაბაღის თემით აცხადებს, რომ და-  
ინტერესებულია კონფლიქტის მშვიდობაზი მოგ-  
ვარებით და კველაფერს გააკეთებს კავკასიაში  
მშვიდობის დასამყარებლად.

სწორედ ამ და ზემოთ ჩამოთვლილი მთელი  
რიგი ფაქტორების გამო მთანი ყარაბაღი იქ-  
ცა კავკასიურ ჩიხად. რაც დრო გადის, სიტუა-  
ცია სულ უფრო რთულდება და ჩიხიდან გამოს-  
ვლაც მნელი ხდება. დროთა განმეოლობაში კავ-  
კასიური ჩიხი იქცა დენთით საჟსე კასრად, რომ-  
ლის აფეთქებაც ნებისმიერ დროსაა მოსალოდ-  
ნელი და ორმელიც მუდმივად ქმნის დიდი კავ-  
კასიური ომის გაჩაობის საშიშროებას.

ଭାବୀତ ପରାମର୍ଶକୁ

# სტალინის ქალიშვილის საიდუმლო დოსიე აშშ-ში ბაზესნა

დაზვერვის ფედერალურმა ბიურომ  
სტალინის ქალიშვილის, სკუტლანა  
ალილუევას დოსიე გასაჯაროვა.  
ამერიკის შეერთებულ შტატებში ის  
ეძიგრაციაში 1967 წელს წარიდა.

დოკუმენტების თანახმად, აშშ-ში ჩასულ-  
მა ალილუევმა დაზვერვის ფედერალურ ბიუ-  
როს აცნობა, რომ სუკ-ის აგენტების მხრი-  
დან თვალთვალის ეშინოდა, თუმცა ამის აღ-  
საკვეთად ბიუროს არანაირი ღონისძიებისთვის  
არ მიუმართავს. დოკუმენტებში არც იმის შე-  
სახებ არის დაცული ინფორმაცია, ამ ტიპის  
თვალთვალი სტალინის ქალიშვილზე ოდესე  
თუ განხორციელებულა.

გასაჯაროებულ დოკუმენტებში მოხსენი-  
ებულია 1967 წელს დაზვერვის ფედერალური  
ბიუროს წარმომადგენლის შეხვედრა საბჭო-  
თა კავშირის საელჩოს თანამშრომელ დიპლო-  
მატონა, მიხაილ ტრეპიხალინთან. შეხვედრი-  
სას საბჭოთა დიპლომატს განუცხადება, რომ  
საბჭოთა ხელისუფლებას უარყოფითი დამო-  
კიდებულება ჰქითხდა ქვეყნიდან ალილუევას  
გაქცევის ფაქტთან. ერთ-ერთ მიზეზად კი იმას  
ასახელდება, რომ ამერიკას შეერთებულ შტა-  
ტებს ეს ამბავი შესაძლოა „პროპაგანდისტუ-  
ლი მიზნებისთვის“ გამოყენებინა.

ტრეპიხალინი აგრეთვე გამოთქვამდა შეშ-

სტალინი და სკუტლანა. 1935 წ.



სკუტლანა ალილუევა

ფოთებას, რომ ცალკეული ძალა აშშ-ში შე-  
ცედებოდა, ალილუევა გამოყენებინა საბჭო-  
თა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტა-  
ტებს მორის ურთიერთობების გასაფუძვებლად.

ფედერალური ბიუროს სხვა წყაროები კი  
იტყობინებოდნენ, რომ ალილუევას ემიგრა-  
ციით საბჭოთა ხელისუფლება დიდად არ შე-  
წუხებულა. პირიქით, კაცოფილიც კი იყვნენ,  
რომ ამ ფაქტს შესაძლოა „სტალინისა და მი-  
სი ოჯახის დისკრედიტაცია მოქმედია“. ეს იმ-  
უამინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის ინ-  
ტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა.

გამოქვეყნებამდე სკუტლანა ალილუევას  
ღონიერ მნიშვნელოვანი შესწორებები განიცა-  
და. დაზვერვის ფედერალურმა ბიურომ არ და-  
უშვა, ხელმისაწვდომი გამხდარიყო დოკუმენ-  
ტები, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის  
თვალსაზრისით ფასულ ინფორმაციას შეი-  
ცვადა, იძლეოდა წყაროს გაშიფრვის საშუა-  
ლებას, ან ალილუევას პირადი ცხოვრების  
ხელშეუხებლობის პრინციპს დაარღვევდა.

სკუტლანა ალილუევა 1926 წელს დაიბადა.  
ის სტალინის ერთადერთი ქალიშვილი იყო.  
1967 წელს, ინდოეთში ვიზიტისას მან საბჭო-  
თა კავშირში დაბრუებული უარი თქვა და საც-  
ხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

ალილუევა სამშობლოში 1984 წელს დაბ-  
რუნდა, საბჭოთა მოქალაქეობაც მიანიჭეს,  
თუმცა კვლავ შტატებში გაემგზავრა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან ვის-  
კონსინის შტატში, ლანა პიტერსონის სახე-  
ლითა და გვარით გაატარა. ეს გვარი მან მე-  
სამე ქმრისგან მიიღო. სტალინის ქალიშვილი  
2011 წელს გარდაიცვალა.

**მომხადებულია Associated Press-ის  
მასლების მიხედვით**

სამხელოო ჟურნალი,  
„არსენალი“!



ინფორმაცია, რომელიც  
მიზანში ხვდება!

გამოიცი თვეში ორჯერ!  
იკითხეთ პრესის გამარტინაციას!

ნოვები აღგილება მისამართ - [elva.ge](http://elva.ge);  
ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

# როგორ აღმოაჩინა „გემრიცალი ამერიკა“... საბჭოთა ხალხისთვის

საბჭოთა კაშირის  
კვების  
მრეწველობის  
სახალხო კომისრის  
საოცარი  
თავგადასავალი  
ამერიკაში

ბაზრობებსა თუ  
სუპერმარქეტებში  
თვალში მუდამ  
მხვდება ამ ღლოვოს  
მქონე პროდუქტი —  
ძიქოანის ძეგი,  
ძიქოანის სოსისი,  
ძიქოანის მაინეზი.  
„რა შუაშია  
სტალინის  
დროინდელი  
ძინისტრი  
თანამედროვე  
პროდუქტიასთან?“  
— გაკარგებულს ეს  
კითხვა ამკვირებდა.  
ხოლო როცა  
ინტერნეტში ამ  
მასალას გავუცანი,  
გაკვირვება  
აღფრთვულნებაში  
გადაიზარდა.



1936 წლის ზაფხულში საბჭოთა კაბშირის კვების მრწველობის სახალხო კომისარი ანასტას მიქოანი მექულლესა და ხუთ ვაჟიშვილთან ერთად სოჭში შევტულებისთვის ემზადებოდა. მაგრამ სტალინისგან მოულოდნელობა ელოდა: „რა უნდა სოჭში? არ სჯობს, აშშში წავიდეს და იქაური კვების მრწველობა შეისწავლოს. ცოლი ვერ გაუგებს? ცოლიც თან წაიყვანოს, ბიჭუნებს კი ყირიშმი დაასვენებენ“.

ფულს იმდენს დაპპირდნენ, რამდენსაც მოისურვებდა — მოწონებული ტექნიკის საყიდლად. ათი კაცი თანმხლებად გააყოლეს. ასე ამოყვეს თავი ანასტასმა და მისმა მეუღლემ აშენმა სოჭის პლაჟის ნაცვლად ამერიკაში.

„შიგნი გემრიცლ და ჯანსაღ საპავზე“  
მოგზაურობიდან სამი წლისთვის მიქო-

იანის „უშუალო მონაწილეობით გამოვიდა „წიგნი გემრიელ და ჯანსაღ საკეებზე“, სა-დაც ჩანდა მოწიწება ამერიკული გამოცდი-ლებისადმი და მისი საბჭოეთში გადმოტანის სურვილი. იყო ასეთი ციტატებიც: „სასარ-გებლოა კარგი ამერიკული ჩვევის გახსენება: პირველი საუზმისას სხვადასხვა სახის ხილის მირთმევა“. სტალინის სიტყვებიც იყო დამოწმებული, რომ საჭირო იყო რუსული რევოლუციური გაქანების შერწყმა ამერიკულ საქმიან თვისებებთან. წიგნი საბჭოეთში არაერთხელ გამოიცა, მაგრამ 1952 წლის გამოცემაში აღარ იყო ამერიკის ხსენება, 1954 წელს — სტალინის, 1974 წელს კი თვით მიქოანისა. თითქოს ცნობილი ამერიკული მოგზაურობა არც ყოფილა, თითქოს მას არ ჩამოეტანოს და დაეწერგოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში უამრავი ამერიკული პროდუქტი თუ ტექნოლოგია, ფილედან — ნა-ინამდე.

საბჭოთა ნაყინი არც არსებობდა. მიქოიანის დელეგაციაშ ნაყინი აშშ-ში დააგემოვნა და მისი რამდენიმე სახეობის დამზადების რეკომენდაცია გასცა. ეს იყო ყველას-თვის საყვარელი და ნაცნობი პლომბირი, კრემ-ბრიულე, ესკიმო, ხილის ნაყინები... ქარხნული ნაყინი საბჭოთა კავშირში 1937 წლის 4 ნოემბერს გამოჩნდა. მანამდე ნაყინს

კუსტარულად, ხელით ამზადებდნენ, აშშ-დან საჭირო დანადგარების ჩამოტანის შემ-დეგ ნაყინის პირველი ფაბრიკა აიგო. უნდა ითქვას, რომ ამ ნუგბარის ხარისხი მკაც-რად კონტროლდებოდა. ნაყინების დაშავებისას უმთავრესი იყო ნატურალური პრო-დუქტი, მხოლოდ რძის ცხიმი და არაყითა-რი კონსერვაცნტი!

სწორედ ანასტას მიქოიანი იცავდა ნაყინის ნამდვილ ამერიკულ ხარისხს მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, სანამ თვად ინარ-ჩუებდა გავლენას პოლიტიკურ ოლიმპზე. ნაყინის რეცეპტურასთან დაკავშირებით მცი-რე „ცელლუტობაც“ კი გამორიცხული იყო. 1966 წელს, ხელისუფლებაში ბრეჟნევის მოს-კლის შეძღვე, რომელსაც მიქოიანი არ უყ-ვარდა, ნაყინის დამზადების უფლება რეგიო-ნებს გადასცეს და „მიქოიანისული“ ნაყი-ნიც წარსულს ჩაპარდა. 1986 წელს ძველი სისტემა საბოლოოდ დაინგრა. ნაყინს ამზა-დებდნენ „ტექნიკური პირობებით“ — ქიმი-ური არომატიზატორებით, სტაბილიზატორებითა და სხვა დანამატებით. ანუ სწორედ ისეის, როგორსაც დღეს მივირთმევთ.

### ლეგენდა „პროგანსალზე“

1936 წელს ჩიკაგოს სოფლის მეურნეობის გამოფენაზე მიქოიანი მაიონეზის დამ-

სტალინის  
„საგვარელი  
სახიში“  
ანასტას  
მიქოიანი





უმაღლესი ხარისხის ნაყინი „ნარკომპიშჩერომისკან“ — რეკლამის მიშენელობა ბოლშვიკებსაც ესმოდათ

საბჭოთა კუშიონი ნაყინი კუსტარულად, ხელით აშადებდნენ, აშშ-დან საჭირო დანადგარების ჩამოგანის შეძლევ ნაყინის პრეცენტ ფასზეც აიგო



ზაღების ტექნოლოგიას გაეცნო. ის მაიონეზის ქარხანას ეწვია და ხელშეკრულება გააფორმა საბჭოთა კავშირში ამერიკული ტექნოლოგიით მაიონეზ „პროვანსალის“ დამზადებაზე. ამ საბჭოთა-ამერიკულმა პროდუქტმა მრავალ ქარტქებილს გაუძლო, დიდ სამამულო ომსა თუ კისმიპოლიტიზმით ბრძოლის ეპოქას, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის ერათა დასასრულს. ნახევარი სუკუნის განმავლობაში „პროვანსალი“ საბჭოთა სუფრა-ნადიმების განუყოფელი ნაწილი შეიქნა, საახალწლო ან დაბადების დღის სუფრები იქნებოდა, ქელქები თუ წითელ არმიაში გაცილების სუფრები.

### შამპანური მასებისთვის

განთქმული „საბჭოთა შამპანურის“ გამოჩენას წინ საინტერესო ისტორია უძღვდა. დიდი ბელადი „წუხდა“, რომ „საბჭოთა სტაბანულები და ინჟინერები, ასევე სხვა შპრომელები, უკვე ბლომად ფულს გამოიმუშავებენ. ერთხელაც შამპანურის ყიდვა რომ მრიასურვონ (და საკებით დამსახურებულადაც), შეძლებები კი ამას? შამპანური ხომ მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლოა! მერედა, რატომ უნდა იყოს ის საბჭოთა ადამიანისთვის ხელმიუწვდომელი?“

1936 წელს, მიქოიანის, ანუ კვების მრწველობის თავკაცის ინიციატივით, ცეკამ მიიღო დადგენილება, გამოეშვათ დიდი რაოდენობით „საბჭოთა შამპანური“. ხუთ წელიწადში 12 მილიონი ბოთლი სასმლის დაშადება ტრადიციული საშუალებებით შეუძლებელი იყო. ამიტომ გადაწყდა, ეუენ შარმის მიერ 1907 წელს გამოგონებული შეთოდი გამოყენებინათ ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ „შამპანურის“, უფრო სწორად, შუშტუნა ღვინის უდიდესი ნაწილის დაგარებება არა ტრადიციულად, ბოთლებში კი არ ხდება, არამედ უზარმაზარ რეზერვუარებში.

აშშ-ში ყოვნისას ოკლენდის „გაზიანი შამპანურის“ ქარხნის მონაცემებამ ძიქოანი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ გემრიელი და შედარებით იაფი სასმელი სწორედ ამ ტექნოლოგიით უნდა დაშადებულიყო. ახალი საქმის გაძლიერა დაევალა ჯერ კიდევ მეფის რუსეთში ცნობილ მეღვინე ანტონ ფლოროვ-ბაგრევს, რომელმაც იტალიურ-ამერიკული მეთოდი საბჭოთა პირობებს მიუსადაგა. საჭი-

რო დანადგარების პირველი კომპლექტი (როსტოვის ქარხნისთვის) ფრანგულ ფირმა „შოსეს“ დაუკვეთეს.


„საბჭოთა შამპანურის“ მასობრივი გამოშვება 1937 წელს დაიწყო. მიქოიანის თქმით, სტალინს არ უყვარდა „შმრაღი“ და „ბრუტი“, აი, „ნაცვერად ტებილს“ და „ტებილს“ კი სიამოვნებით მიირთმევდა. მალე საბჭოთა შამპანური ნამდვილი „სახალხო სასმელი“ გაჩდა, ახალი წელი და ქორწილი უძინასოდ წარმოუდგენელი იყო. აბა, ის სხვა, ნამდვილი „ჩვენთან“ უბრალოდ, არ არსებობდა.

### პური გაურმა უცდა გამოაცხოს

საბჭოთა კავშირს, პურის დიად მომყვანმწარმოებელს, თითქოს ამ მხრივ მაინც არაუერი სჭირდა ამტრიკის მისაბაძი. არადა, თურმე სჭირდა და თანაც როგორ! მიქოიანი წერდა, რომ საცხობები მოსახლეობის მხოლოდ 40%-ს, ანუ ქალაქელებს აწვდიდა გამომცხვარ პურს, სოფლად კი ოჯახებში აცხობდნენ. სრულიად საბჭოთაის ქარხნული პურით უზრუნველყოფა ლამის რევოლუციის ტოლფასი გახლდათ.


აშშ-ში პურის ქარხნები მთლიანად მექანიზებული იყო. ადამიანის ხელი პურს არ ჰქონდა, ყველაფერი ტექნიკით იმართებოდა. რაღა საჭირო იყო ველოსპედის ხელახლა გამოგონება? საბჭოთა დელგაციამაც ამტრიკიდან ახალი ტექნოლოგიები ჩამოიტანა, მათ შორის, ფუნთუშების ცხობისა, რასაც მანამდე ხელით ამზადებდნენ. უფროს თაობას ემახსოვრება 80-იან წლებამდე მოღწეული 7-კაპიკიანი, უგერიოელესი ფუნთუშა „ქალაქური“, მაგრამ, რასაკეირველია, მაშინ არაუერი იცოდა მის „ამტრიკულ წარმოშობაზე“.

